# ლამპარი

თფილისი

სამშაბათი, 25 (8) აპრილი.

1906

წელიწადი პირველი.

ცალკე ნომერი 3 კაპ.


„დუმის" წევრი საველიევი მუშებმა გააძევეს.—დიდი ამნისტია ოდესაში ექვს აპრილს.—გუბერნატორები აფრთხილებენ მთავრობას.—დუმასთვის ყუმბარა ესროლეს.—პეტერბურგში მუშებმა იერიში მიიტანეს საბჭოზე.—იწყება დიდი გაფიცვები.—კადეტები ზაქი-ბუქობენ.—დურნოვოს უმაღლესათ ებოძა ორასი ათასი მანეთი..... რევოლიუციის ჩაქრობისათვის!.


№ 6 ყოველ-დღიური გაზეთი. № 6



აგენტების და ხელის-მომწერთა საყურადღებოთ!

ვინაც ხვედრი ფული არ შემოუტანია, ამ თვის 28 რიცხვიდან გაზეთი აღარ გაეგზავნება.

ამ წლის 19 აპრილიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ლ ა მ პ ა რ ი"

„ლამპარი" წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., წლის ბოლომდის 4 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება:

**თფილისში**: რედაქციის კანტორაში—კ. თავართქილაძის სტამბასთან, ელისაბედის ქ. № 17 და პროვინციებში ჩვენს აგენტებთან: **ერევანში**—ა. შუშანიანცი, **გორში**—არჩუაძე, **სამტრედიაში**—როსტომ ბასილაძე, **ხაშურში**—ი. კვალიაშვილი, **ფოთში**—ბესარიონ ჯაშაკიძე, **ქუთაისში**—ჟურნ.-გაზ. კანტორა „კოლხიდა", **სოხუმში**—მ. ძიძიგურის გაზეთების ბიურო, **სიღნაღში**—ზაქ. მენთეშაშვილი, **ბორჯომში**—მიხ. დადიანი, **ხონში**—ბახტაძის წიგნისმაღაზია „რუსთაველი", **ოზურგეთში**—მოსე ტუღუში, **ჭიათურაში**—ვლად. მოსეშვილი, **თელავში**—ქეთო ზარაფიშვილისა, **ლანჩხუთში**—ვ. ებრალიძე, **ზესტაფონში**—ივ. საყვარელიძე, **ჩოხატაურში**—გიორგი ჟღენტი.

**რედაქცია** სთხოვს აგენტებს **ყოველ კვირაში ანგარიში გამოგზავნონ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზეთების გზავნა მოესპობათ.**

**აგენტებს** რედაქცია ნომერს **ორ კაპეიკათ უთმობს.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „ЛАМПАРИ".


## ძველი და ახალი სამინისტრო

ვიტეს სამინისტრო დაეცა; მის ნაცვლათ შესდგა ახალი სამინისტრო გორემიკინის თავმჯდომარეობით. რამ დასცა პირველი, რამ წამოაყენა მეორე? რას ნიშნავს ახალი სამინისტროს მოვლინება? დღეს ამ საკითხებს უტრიალებს პრესა და საზოგადოება.

ბევრსა ჰგონია ანუ ეგონა, ვითომ ახალი სამინისტროს შედგენა გამოიწვია მოსავალ ოპოზიციონურმა დუმამ. რადგან არჩევნების შედეგმა ნათელჰყო, რომ ქვეყნის დიდი უმრავლესობა წინააღმდეგია ვიტე-დურნოვოს პოლიტიკისა, ამ მინისტრებმაც ნებსით თუ უნებლიეთ მიატოვეს მართვა-გამგეობის სადავეო. ამ აზრს მოკრძალებით გამოსთქვამს მაგ. გაზ. „კავკ. მისლი": „ეს გამარჯვება (კადეტებისა) დასავლეთ ევროპის პარლამენტარიზმის ენაზე ჰნიშნავს უნდობლობის „ვოტუმს" ვიტე-დურნოვოს კაბინეტისადმი"; და ვითარცა „პარლამენტის" უმრავლესობის (კადეტების) ორგანო, გაზეთი ცდილობს მთავრობას პოლიტიკური დირექტივა მისცეს; იგი აცხადებს, რომ დღევანდელ მომენტის უპირველესი და უმთავრესი საჭიროება არის „შედგენილ იქმნას კაბინეტი უმრავლესობაზე დაყრდნობილი, ე. ი. კაბინეტი კონსტიტუციონ.-დემოკრატთულის ელფერით". საბრალო კადეტები! ესენი, ვითარცა „რეალურ პოლიტიკის" მიმდევარნი, „პრაქტიკის კაცები", რომელთაც მარადის ახსოვთ, რომ „ბევრის მომლოდე ცოტასაც დაჰკარგავსო", ბეჯითათ ამოკლებენ და ამცირებენ თავიანთ მოთხოვნებს; ესენი მზათ არიან შეურიგდენ მთავრობას, ოღონდ კი ამან კონსტიტუციონურ-დემოკრატების ფერ-უმარილი წაიცხოს, მაგრამ მთავრობა მაინც მასხრათ იგდებს ჩვენს კადეტებს. გორემიკინის კაბინეტს არამც თუ ელფერი არ სდევს კადეტებისა, არამედ ამ კაბინეტში ერთი მინისტრიც კი არ მოიპოვება, რომ პირდაპირი მოწინააღმდეგე არ იყოს კადეტებისა.

„უნდობლობის ვოტუმს" რომ კიდეც ჰქონოდა გავლენა სამინისტროს კრიზისზე, ცხადია საპარლამენტო პოლიტიკა მაინც აქ მოსატანი არ არის, გორემიკინის კაბინეტი მაინც ვერ იქნება სახელმწიფო დუმის უმრავლესობის აღმასრულებელი ორგანო; მთავრობა სრულებითაც არ ფიქრობს საპარლამენტო გზაზე დადგომას. მაშ რაღა საჭირო იყო ძველი სამინისტროს დაშლა და ახალის შედგენა?

საჭიროა გავიხსენოთ რა მიზნით იყო მოვლენილი ძველი სამინისტრო. ვიტემ თავისი მისსია გვაუწყა ცნობილ უქვეშევრდომილეს მოხსენებაში, რომელიც მან ხელმწიფეს წარუდგინა გასულ წლის 17 ოქტომბრის თარიღით. მოხსენებაში გრაფი აღიარებდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს დღევანდელ მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს განხორციელებულ იქნას პოლიტიკურ და მოქალაქობრივ თავისუფლებათა ძირითადი პრინციპებიო. მინისტრ-პრემიერის შემდეგმა „მოღვაწეობამ" ნათლათ დაანახვა ქვეყანას, თუ რას ნიშნავდა მის მიერ აღიარებულ პრინციპების განხორციელება: ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობას გადაეწყვიტნა მცირეოდენის და უფრო კი მოჩვენებითი დათმობით დაენაწილებინა ოპოზიციონური ძალები, თავის მხარეზე გადაეყვანა ოპოზიციონურ ქვეყნის უმრავლესობა და შემდეგ ძალმომრეობით ჩაექრო რევოლიუციონური მოძრაობა, აქედან—ის შავბნელი რეაქცია, ის სისხლის მსმელი პოლიტიკა, რომელიც თან მოჰყვა 17 ოქტომბრის მანიფესტს და რომელიც დღევანდლამდე სულს უხუთავს მთელ იმპერიას.

ვიტეს მიზანი იყო ძირიანათ აღმოეფხვრა „კრამოლა" და მცირეოდენი „შეპაჩინკებით" კვლავ განემტკიცებინა შერყეული ძველი რეჟიმი. მაგრამ ეს არც იმდენათ ადვილი განსახორციელებელი გამოდგა, როგორც თავიდან ეგონა ვიტეს.

სახელმწიფო დუმის არჩევნებმა გამოამჟღავნეს, რომ „კრამოლას" ღრმათ ჰქონია გადგმული ფესვები, რომ „კრამოლის", რევოლიუციის, მიზნებს თანაუგრძნობს ქვეყნის უმრავლესობა. ვიტემ დაინახა, რომ მას არ ასცდებოდა დამნაშავის სკამზე დაჯდომა; მართალია, ამას არ მოყვებოდა სერიოზული შედეგი—ფიქრობდა ვიტე—მაგრამ მაინც საჭირო იყო დროებით ხელიდან გაეშვა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის პასუხისმგებლობა.

როგორც კი გამოჩნდა, რომ სახელმწიფო დუმა ოპოზიციისაკენ იხრებოდა, ვიტე უმალვე „ავათ გახდა"; გაზეთებმა გამოაქვეყნეს: „გრაფი ავათ არის, ძალიან ავათ არის; ექიმები დაჟინებით თხოვენ სამსახურს თავი დაანებოსო". მაგრამ ავათმყოფობის საბაბით სამსახურიდან გასვლა გრაფის სახელს ვერ აღადგენდა ოპოზიციის თვალში. ამიტომ გრაფი წამდაუწუმ აცხადებდა ხოლმე, რომ რეაქციასთან მას არაფერი ჰქონდა საერთო, რომ მთელ შინაურ პოლიტიკას ფაქტიურათ ხელმძღვანელობდა მინისტრი დურნოვო, რომ სწორეთ დურნოვო იყო ის ბოროტი სული, ვისაც გადაეწყვიტა „ისეთი თავზარი დასცეს რუსეთის იმპერიას, რომ შვილი-შვილებსაც კი ახსოვდეთო და სხ." მაგრამ ვიტე-დურნოვოს პოლიტიკას რომ ვიტე ხელმძღვანელობდა, ეს თვითონ გრაფსაც წამოსცდა ამ რამდენიმე კვირის წინათ, როცა სამარის და სარატოვის გუბერნიიდან არჩეულ სახელმწიფო დუმის წევრებს შეუჩვალა: მთავრობა ხელს აიღებს დახვრეტაზე, ჩამოხრჩობაზე, დატუსაღებაზე და სხვა რეპრესიებზე, როდესაც თქვენ თვითონ—ოპოზიციონერები და რევოლიუციონერები, ხელს აიღებთ რეპრესიებზე, ე. ი. როცა ყველგან მოისპობა ყოველივე ნასახი მღელვარებისა და ქვეყანა გულწრფელ მორჩილებას გამოუცხადებს მთავრობასო, დეპეშები იტყობინება, რომ ვიტე სამსახურიდან გასვლას ასაბუთებს მაინც იმ გარემოებით, რომ მან ვერ მოახერხა თავის ლიბერალურ პოლიტიკის განხორციელება, რომ მას წინ ეღობებოდენ სხვა მინისტრები და ათასი სხვა დაბრკოლებანი. ვიტე დარწმუნებული იყო, რომ მის ადგილს დაიჭერდა „მაგარი კურსის" სამინისტრო და ეს კი ხელსაყრელი იქნებოდა იმავ ვიტესთვის. გრაფი დარწმუნებული იყო და არის, რომ მომავალ დუმაში ბრძოლა ოპოზიციასა და მთავრობას შუა უკანასკნელის სასარგებლოთ გათავდება; და მაშინ ოთხათ მოკაკული ოპოზიცია კვლავ მოინატრებს ძველ მეგობარ ვიტეს. ვიტე კვლავ მოევლინება ქვეყანას ზეთის ხილის შტოთი, იგი კვლავ შედგება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის მწვერვალზე, ამ ხელათ, არა როგორც ბიუროკრატიისაგან მოვლინებული, არამედ როგორც „ქვეყნის ნდობით" აღჭურვილი პრემიერი, ვისაც თავს უდევია შეადგინოს „პარლამენტის" უმრავლესობაზე დაყრდნობილი კაბინეტი; და რადგან გრაფს უხვათ ექნება წაცხობილი კადეტების ფერ-უმარილი, ამ რიგათ განხორციელდება „კაბინეტი კონსტიტუციონალისტ-დემოკრატების ელფერით". ვიტე შეიმოსება სწორ-უპოვარ დიდების შარავანდედით. ასე ოცნებობს გრაფი.

გრაფ ვიტეს ინტერესებს სრულიად ეთანხმებოდა ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის ინტერესები. ძველი სამინისტრო რომ თავის ადგილზე დარჩენილიყო, ეს სახელმწიფო დუმას უეჭველათ ზედმეტ საბაბს მისცემდა ოპოზიციონერობისათვის, რადგან მას გასისხლიანებული ვიტე-დურნოვო ყოველთვის თვალ წინ ედგებოდა, როგორც მუდმივი მუქარა ნორჩი თავისუფლებისათვის. გორემიკინის სამინისტრო კი რა შუაშია, თუ ვიტე-დურნოვომ რუსეთის იმპერიის თავზე ჯოჯოხეთის ცეცხლი დაანთეს? მეორე მხრივ, ოპოზიციონურ დუმის არჩევნების შემდეგ ახალი სამინისტროს შედგენა ეფექტს (სასიკეთო შთაბეჭდილებას) მოახდენდა შინ და გარეთ (უცხოეთში).

გარდა ამისა, ვიტეს გადაყენება საჭირო იყო იმიტომაც, რომ მთავრობის უკან მდგომი, სახელმწიფო პოლიტიკის უხილავი ხელმძღვანელი, კამარილა, ბიუროკრატიის ბურჯნი პობედონოსცევ-ტრეპოვი და კამპანია, სასახლის პარტია, „ვარსკვლავების პარტია" მუდამ უკმაყოფილო იყო ვიტეს პოლიტიკით. ისინი „სპირიტიზმით" ყოველთვის იწვევდენ პლეველ აჩრდილს და ასე ალაპარაკებდენ: რუსეთის იმპერია და დინასტია საბოლოოთ დაიღუპება, უკეთუ დაუყოვნებლივ არ მოევლინება ქვეყანას „რკინის ხელი", მაგარი მთავრობა. გრაფი კი ვითომ ხელიდან არ იშორებდა ხავერდის ხელთათმანს,

ამ რიგათ მაღალ „სფეროებში" ყველას ინტერესები ითხოვდა ვიტეს გადაყენებას და ახალ, უფრო „მაგარი კურსის" სამინისტროს შედგენას.

აი ამ რიგათ იშვა გორემიკინის მინისტრთა კაბინეტი. აქედან ცხადია თუ რას უნდა წარმოადგენდეს ახალი სამინისტრო. როგორც გორემიკინი, ისე სხვა მისი ამხანაგი მინისტრები: სტიშინსკი და შვანებახი (სამიწათმოქმედო „პიროგზე" გასუქებულნი), გრაფი იგნატიევი (კიევის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი,, რუხლოვი (დიდი მთავარ ალექსანდრეს მიხეილის ძის ყოფილი თანაშემწე), შჩეგლოვიტოვი (უმართებულეს სენატის ყოფილი ობერ-პროკურორი *). ყველა ეს ბატონები ძველი რეჟიმის ბურჯები და ტიპიური წარმომადგენელნი არიან, ყველა ამათ შესისხლხორცებული აქვთ ძველი სახელმწიფოს მეცნიერება, ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობის პოლიტიკა. მთელი ეს სამინისტრო განმანთავისუფლებელ მოძრაობის შეურიგებელი მტერია. გორემიკინის კაბინეტის შედგენით ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა გარკვევით აცხადებს, რომ იგი პირდაპირ და ბეჯითათ მიდის თავის მიზნისკენ: დაიბრუნოს ოქტომბერში დაკარგული, აღადგინოს და განამტკიცოს შერყეული ბატონობა. ახალი სამინისტროს შედგენით მთავრობა აცხადებს, რომ იგი სახელმწიფო დუმაში ოპოზიციას ერთ ციდასაც არ დაუთმობს ისე თუ არ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შემდეგ. ახალი სამინისტროს შედგენით ბიუროკრატიული თვითმპყრობელობა ბრძოლაში გამომწვევ ხელთათმანს ესვრის რუსეთის იმპერიის ხალხს.

## პოლიტიკური მიმოხილვა

### მთავრობის ოინები და გლეხები.

ყველა ის ოინები, რომლებითაც მთავრობა ცდილობს ძირი გამოუთხაროს რევოლიუციას, პირველათ მასვე უთხრის ძირს. სწორეთ რევოლიუციის „ჩასაშლელათ" შეეცადა მთავრობა ბლომათ შეეყვანა სათათბიროში გლეხები, რადგან მას თავის სიბეცის მეოხებით გლეხები ჯერ ისევ თავის ერთგულ ბურჯათ მიაჩნდა და იმედი ქონდა, რომ სათათბიროში მას ესენი ყველაზე უფრო დაუჭერდენ მხარს. მაგრამ აღმოჩნდა სულ წინააღმდეგი: თან და თან აშკარა ხდება, რომ ყველაზე მედგარ წინააღმდეგობას სათათბიროში, თითო-ოროლა სხვა დეპუტატს გარდა, სწორეთ გლეხები გაუწევენ მთავრობას. არც ერთი სხვა პარტია არ მიდის სათათბიროში ისეთი მტკიცე გადაწყვეტილებით—ბოლო მოუღოს აწ არსებულ წეს-წყობილებას, როგორც გლეხი—დეპუტატები,—და ეს მით უფრო თავზარდამცემია მთავრობისათვის, რომ ეს გადაწყვეტილება არ ეკუთვნის კერძოთ მარტო ამ გლეხ-დეპუტატებს, არამედ ამ გადაწყვეტილებით ისინი აღჭურვილი არიან მთელი გლეხობისაგან, რომლებიც სასტიკათ აკისრებენ თავიანთ წარმომადგენლებს, სანამ სრულ თავისუფლებას და მიწას არ მოიპოვებთ, სათათბიროდან ფეხი არ მოიცვალოთო. ალბათ ეს კარგათ შეუგნიათ გუბერნატორებს, რომლებიც თურმე, როგორც გაზ. „ნაშა ჟიზნს" გაუგია, დეპეშით ატყობინებენ შინაგან საქმეთა მინისტრს: თუ სათათბირო გარეკეთ, იცოდეთ ვერ დაგპირდებით, რომ ჩვენს გუბერნიებში მშვიდობიანობა იქნება დაცულიო. მართლაც და იმ სათათბიროს გარეკას, რომლის თითქმის ნახევარი გლეხების წარმომადგენელთაგან შესდგება (355 დეპუტატში 175 გლეხია), და რომელზედაც გლეხები დიდ იმედებს ამყარებენ, ესენი გულ-გრილათ ვერ შეხვდებიან, პირ-იქით, უეჭველათ დიდ აღიაქოთს ასტეხენ, რევოლიუციის ცეცხლს დაანთებენ. გლეხები იმდენათ შეგნებულათ, იმდენათ სერიოზულათ უყურებენ თურმე სათათბიროს ბედიღბალს და მის დანიშნულებას, რომ ზოგან (მაგ. უგლიჩის მაზრაში) განზრახვა ქონიათ არ გადაიხადონ სახელმწიფო გადასახადები, ვიდრე სათათბირო მოქმედებას არ დაიწყებს. შეგნებულათ და სერიოზულათ ეკიდებიან საქმეს თვით გლეხ-დეპუტატებიც. სიმბირსკის, კურსკის და სტავროპოლის გუბერნიების გლეხ-დეპუტატებმა შემდეგი შინაარსის მოწოდებით მიუმართნიათ დანარჩენ გუბერნიების გლეხ-დეპუტატებისათვის: „ამხანაგებო! ჩვენ არ ვიცნობთ ერთმანეთს, ჩვენ არ გვინახავს ერთი მეორე.... ჩვენ საზოგადო საქმე გვაქვს, —ჩვენ უნდა ერთათ მოვიყაროთ თავი, გავიცნოთ ერთმანეთი, მოვილაპარაკოთ, უნდა შევიმუშაოთ მუშაობის საზოგადო გეგმა. მოგიწვევთ პეტერბურგში 19 აპრილისათვისო" და სხ...

ყველა ამის მიუხედავათ „გულუბრყვილო" მთავრობას ჯერ კიდევ მთლათ როდი დაკარგვია გლეხების იმედი. ის ჯერ კიდევ ოცნებობს, რომ სხვა და სხვა გვარი ხრიკებით ისევ მოახერხებს გლეხების გადაბირებას. გაზ. „რეჩს" აი რას აცნობებენ დეპეშით ქ. სამარიდან. სამარის გუბერნატორმა დაიბარა ექვსი გლეხი-დეპუტატი, მისცა მათ „პრაგონი" და უთხრა—მარტო გლეხთა დეპუტატები უნდა წახვიდეთ პეტერბურგში 20 აპრილისათვის გლეხების გაჭირვებაზე მოსალაპარაკებლათ, გლეხებს სადგომათ მოგეცემათ ტავრიდის სასახლე, თქვენ იქ გეპატიჟებათ შინაგან საქმეთა მინისტრი, რომლისგანაც ამის თაობაზე დეპეშა მიიღეო; შემდეგ გუბერნატორმა გლეხებს გზა დაულოცა და დარიგება დაუწყო, პარტიების მაგნე გაგდენას მოერიდეთო, მათ ყური არ ათხოვოთ, თორემ დაიღუპებითო. ასეთი ლათაიებით ცდილობს მთავრობა გლეხებს თავი მოუქონოს, აშკარაა მას გლეხი პარტიებისაგან გაბრიყვებულათ მიაჩნია და აი თითონაც იმედი აქვს გააბრიყვებს. მაგრამ დახეთ გუბერნატორის პირის დაღებას! ერთმა გლეხმა, შუვალოვმა, გუბერნატორს ასე უპასუხა: გლეხების გაჭირვება ჩვენ კარგათ ვიცით, ხოლო დარიგება კი შინიდან გვაქვს მოცემული, ჩვენმა მეზობლებმა დაგვაბარეს უწინარეს ყოვლისა თავისუფალ ცხოვრების მოპოვებას ვეცადოთო. ასეთი სცენები სხვა გუბერნიებშიაც გამეორებულა. გლეხები ყველგან ერთნაირათ მტკიცეთ ადგიან თავიანთ გადაწყვეტილებას. როგორ გგონია, მკითხველო, ეს ცხოვრებისაგან გამწარებული ტლანქი გლეხები უფრო თავ გამოდებით და მედგრათ იბრძოლებენ სათათბიროში, თუ ცხოვრებისაგან განებივრებული ნაზი კადეტები და მისთანანი?.. პასუხი თავისთავათ ცხადია, და გლეხებისაგან სათათბიროში მედგრათ ბრძოლას მით უფრო უნდა მოველოდეთ, რომ მათ გადაუწყვეტიათ მიიწვიონ თავიანთ ჯგუფში მუშა-დეპუტატები და მათთან ერთათ იმოქმედონ.

### $7^{1}/_{2}$ მილიონი შინაურ საჭიროებისათვის!

თუ ხრიკები და ოინები ვერ გასჭრის რევოლიუციის ჩასაქრობათ, ასეთ შემთხვევისათვის მთავრობა ისევ თავის ნაცად ზომებს ამზადებს: მას განზრახვა აქვს $7^{1}/_{2}$ მილიონი მან. გადასდოს ჯარების წასაყვან წამოსაყვანათ იმპერიის „შინაური საჭიროებისათვის". მკითხველმა კარგათ იცის, რა არის ეს შინაური საჭიროება. ეს, რასაკვირველია, „შინაური მტრის" ალაგმვა გახლავთ,—ალაგმვა დამსჯელი ექსპედიციებით, ხიშტებით, მათრახებით, თოფ-ზარბაზნებით, გადაწვა-გადაბუგვით, ქალების პატივის ახდით და სხვ.—აი ყოველივე ეს გახლავთ სახელმწიფოს შინაური საჭიროება და აი ყოველივე ამისათვის მთავრობა აპირებს $7^{1}/_{2}$ მილიონი მან. გადასდოს. მან გამოცდილებით უკვე იცის (ალიხანოვებმა, ბაუერებმა და ორლოვებმა მისცეს ეს ძვირფასი გამოცდილება), რომ ასეთი ზომებით არა თუ რევოლიუციის ჩაქრობას ახერხებს, არამედ ხაზინასაც ავსებს!

### მთავრობის ბრძოლა დამშეულ მუშებთან.

ვინა თქვა, რომ მთავრობას რევოლიუციამ გონიერება დაუკარგაო? მას რომ გონიერება არ შერჩენოდა, როგორ მოიფიქრებდა, რომ რევოლიუციასთან მარჯვეთ საბრძოლველათ საჭიროა ბრძ... მის მიზეზებთან. ერთი ასეთ მიზეზთაგანია აუარებელ მუშათა უსაქმოთ დარჩენა და დამშევა, და აი გონიერი მთავრობა კიდეც ებრძვის დამშეულ მუშებს. გონიერება თუ ვისმე დაუკარგავს, სწორეთ ამ მუშებს (ალბათ შიმშილისაგან!), თორემ როცა ხელ-

*) დანარჩენები ვიტე-დურნოვოს სამინისტროს ნაშთებია.

ვენ, რომ მთავრობა მათ დახმარებას არ უწევთ, როგორ ვერ მიხვდენ, რომ მათთვის დახმარება ალბათ არც საჭიროა და, მაშასადამე, არც თვითონ უნდა შეეცადენ დაეხმარონ თავის თავს და ერთმანეთს! ამ ბრიყვებს აყოლიან სამუშაოს მქონე მუშები, დაუარსებიათ პეტერბურგში რაღაც „საბჭო უსაქმოთ დარჩენილთა“, მთელი ორგანიზაცია გაუჩარხავთ იმ მიზნით, რომ გამოიკვლიონ უსაქმოთ დარჩენილ მუშათა რიცხვი, მათი გაჭირვება, და ამასთან გაანაწილონ მათ შორის ის სამუშაოები, რომლებსაც მათ ქალაქის თვითმართველობა დაპირებია. ამ უგუნურებს ფიქრათაც არ მოსვლიათ თავში, რომ მუშებს აკრძალული აქვთ ორგანიზაციის დაარსება, ამ მიზნით კრებების გამართვა და სხ. არ უფიქრიათ, რომ ეს მთავრობას არ ესიამოვნება, რადგან ასეთი ორგანიზაციების დაარსება და კრებების გამართვა სულ ადვილათ შეიძლება თავხედმა მუშებმა რევოლიუციონურ იარაღათ გამოიყენონ. მაგრამ უჭკუოებს ბრძენი მთავრობა ასწავლის ჭკუას. პრისტავებს და პოლიცმეისტრებს სასტიკი ბრძანება აქვთ მიცემული გრადონაჩალნიკებისაგან—გააფრთხილეთ ქარხანა-ზავოდების პატრონები, რომ არამც და არამც ნება არ მისცენ მუშებს უსაქმოთ დარჩენილთა საბჭოს დეპუტატების არჩევისაო, და შეიკრიბებიან ხოლმე თუ არა მუშები ქარხნებ-ზავოდებში „საბჭოს“ წევრების ასარჩევათ ან უსაქმოთა ასაწერათ, მათ მაშინვე პრისტავები ესხმებიან თავს და ერეკებიან. მართალია მუშები თავისას მაინც არ იშლიან და ასეთი გარეკის შემდეგ ქალაქ გარეთ იკრიბებიან, მაგრამ მთავრობა განა იქ კი ვერ გაადევნებს თავის მცველებს!

### განკითხვის დღის წინ.

„გარეთ“ მთავრობა ყოველთვის გაუმკლავდებოდა მტერს და რევოლიუციას სულ ბრგეს ადენდა, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ცოტა „შიგნით“ აქვს საქმე ჰანდრაკულათ, აწეწილ-დაწეწილათ. გარედან რევოლიუციის ტალღების დაჯახება აბა რას დააკლებდა, რომ ციხე შიგნიდან არ უტყდებოდეს? ამ ვიტემ კი არივ-დარია სულ საქმე! სულ თავის ჭკუაზე მოქმედებს თურმე და სხვა ბიუროკრატებს კი არას ეკითხება. შეუმუშავებია ჩუმათ, თავისთვის რაღაც ძირითად კანონების პროექტი, რომელიც „ფელეტონი“ უფრო ეგონება კაცს, ვიდრე პროექტი, და არაფერს არა გავს: სულ წინააღმდეგობითაა სავსე. განსაკუთრებით ერთი ბიუროკრატი ყოფილა გაჯავრებული და ასე უთქვამს: უზენაესმა მთავრობამ (მეფემ) თვით სათათბიროს მოწვევის ფაქტით დაამოწმა, რომ ხალხის სიკეთეზე ზრუნვაში თავის თავი აღარ მიაჩნია სავსებით სანდოთ და აუცილებლათ საჭიროთ ცნო ხალხის წარმომადგენლები მოეწვია ამ სიკეთის უზრუნველსაყოფელ ზომების შესამუშავებლათ და ამავე დროს სათათბიროს მოწვევის სულ რამდენიმე დღის წინ ეს საქმე კანონების ისეთ ნაწილში მოაქციეს, რომელსაც სათათბირო ვერ შეეხებაო. ეს პროექტი ვიტეს ისე გამოუქვეყნებია, რომ არც სახელმწიფო საბჭოსთვის წარუდგენია და არც მცოდნე კაცები მოუწვევია მის განსახილველათ და ასე იმიტომ მოქცეულა, რომ შინებია ვაი თუ წინააღმდეგობა გამოიწვიონ და პროექტი ვეღარ გაატაროო. ყოველივე ამის გამო ბიუროკრატების უმრავლესობა ძალიან გაჯავრებულია თურმე ვიტეზე და თითქმის ყველაფერ უბედურებას, რაც რუსეთში ხდება, სულ მას და მის კაბინეტს აბრალებენ: ამათ ფეხქვეშ გათელეს კანონები, და, დაიქუხეს: ძირს ვიტე და მისი კაბინეტიო! მეორე მხრივ ვიტე აცხადებს—ქვეყნის აშენება მინდოდა, ბევრი კეთილი განზრახვები მქონდა. მაგრამ არ დამაცალეს სისრულეში მომეყვანაო. ამიტომ მეტი რაღა დამრჩენია, სამსახურიდან უნდა გავიდეო. ასეთ განკითხვის დღის მოახლოვების გამო ამ გათახსირებულ ვაჟბატონებს შიშის ქარები უდგებათ გვერდებში, ერთი მეორეს აბრალებენ თავიანთ საზიზღარ ნამოქმედარს, თვითეული მათგანი პილატესავით იბანს ხელს და ცდილობს თავი პირნათლათ მოაჩვენოს ქვეყნას. მაგრამ ვის, ვის მოატყუებენ უგნურები? ხალხის მსჯავრი უკვე მზათ არის მათთვის!

### კადეტები „ბღლვინავენ“.

რამდენათაც წელში იკაკვება მთავრობა, იმდენათ წელში იმართებიან კადეტები. ამათ ყოყლოჩინობას საზღვარი აღარ აქვს. ამ დღეებში ესენი შეიკრიბენ პეტერბურგში და სულ ლომებივით ბღლვინავენ. „შრომის“ კორესპონდენტი პეტერბურგიდან რიხიანათ იუწყება: კადეტების კრებაზე „პირველათ გაისმა ახდილათ გაბედული, ბრძანებითი, თავისუფალი ხმა ხალხის (?) წარმომადგენელთა.—ისე როგორც საპარლამენტო ქვეყნებშია. მოითხოვენ: საყოველთაო საარჩევნო უფლებას, სრულ ამნისტიას, თავისუფლების უზრუნველყოფას, უკანონო მოქმედებათა და ძალმომრეობის (17 ოქტომბრის შემდეგ) საპარლამენტო გამოძიებას და დამნაშავე მმართველთა სამართალში მიცემას..- გადაწყვეტილია უკან არ დაიხიონ, სანამ ყველა მოთხოვნა ასრულებულ არ იქნება, თუნდაც სათათბირო სრულიათ აიკლოს მთავრობამ“... ხმა-მაღლა ყვირილის დაწყებაც (თუნდაც კერძო კრებაზე) კადეტების მხრივ დიდი ნაბიჯია წინ, მაგრამ კადეტები ისეთ ნაივნები არ არიან, რომ იერიქონის კედლებივით საყვირებით დაანგრიონ თვითმპყრობელობის კედლები, და სანამ მათ ნაზ-ინტელიგენტურ ყვირილს ხალხის მრისხანე და მქუხარე ყიჟინი არ შეუერთდება, მანამ მათი ხმა, რაც უნდა ძალიან იჩხავლონ, მაინც „ხმათ მღაღადებლისათ“ დარჩება... მაგრამ მათ შეუძლიათ ინუგეშონ, რომ ხალხიც არ დააყოვნებს ხმის ამაღლებას: როგორც უკვე ვიცით, გლეხები სახუმროთ არ აპირებენ მთავრობასთან ბრძოლას, პროლეტარიატი მით უმეტეს... და კიდეც ეს გახლავთ უმთავრესათ იმის მიზეზი, რომ კადეტები ასე ბედავენ ხმის ამაღლებას. იმის კი რა მოგახსენოთ, რას იზამენ კადეტები მაშინ, თუ მთავრობამ სათათბირო აიკლო. მათ, რასაკვირველია, ვერავინ გაასწრებს იქიდან და ხალხს ამოეფარებიან უკან, რომ ტყვიები აიცდინონ.

### საველიევი კავშირიდან გააძევეს.

როდესაც კადეტების „ოწყალებით“ მოსკოვის მუშებმა ასოთამწყობი საველიევი აირჩიეს სათათბიროს წევრათ და მას დაავალეს სოც.-დემოკრატიულ პროგრამას ნუ დაიცავო, ხოლო საველიევმა ამის წინააღმდეგ პროტესტი არ გამოაცხადა, ჩვენ ეს ფაქტი კადეტებისაგან მუშების გარყვნათ მივიჩნიეთ. თუ რამდენათ მართალი ყოფილა ჩვენი აზრი, აშკარათ ჩანს შემდეგიდან: ბეჭდვითი საქმის კავშირის კრებას დაუდგენია—საველიევს უფლება არ ქონდა მუშათა წარმომადგენლათ არჩეულიყო სათათბიროში, რადგან მუშათა უმრავლესობამ ბოიკოტი გადაწყვიტა მოსკოვში; კრება კიცხავს საველიევს აგან არჩევისათვის მადლობის გადახდას ამომრჩეველთა წინაშე და მისი აზრს (გაზეთის კორესპონდენტთან გამოთქმული) იმის შესახებ, რომ 8 საათის სამუშაო დღის შემოღება უტოპიაა (განუხორციელებელია); ჩანს მას აზრათ არ აქვს დაიცვას მუშათა ეს ძირითადი მოთხოვნა. ამის გამო კრებამ დაადგინა, უნდობლობა გამოეცხადოს საველიევს და გამორიცხოს იგი ბეჭდვითი სიტყვის კავშირიდან. ასე ამნაირათ სვრის და რყვნის მუშებს მცირეოდენი გაკარებაც კი ბურჟუაზიულ პარტიებთან, თუ მუშები დიდი სიფრთხილით და შეგნებულათ არ იჭერენ მათთან საქმეს! საველიევმა და მისმა ამრჩევლებმა. . . . . *) შეჭამანდში, კადეტების მოწყალებაში“ გაცვალეს თავიანთი (მუშათ)ინტერესები!

*) ჩეჩევიჩნაია პოხლებკა.

# ახალი ამბები

◆ კვირას 23 აპრილს, შუადღის $12^1/_2$ საათზე თფილისში მოასვენეს ამ ოთხი თვის წინეთ მოსკოვში რევოლიუციის დროს მოკლული სტუდენტი **ილია ხირსელი**. ხირსელი ერთი თვალსაჩინო მებრძოლთაგანი იყო „ს-ერთა“ ბანაკში. მოსკოვის რევოლიუციის დროს ის რამდენიმე დღე-და ღამე განუწყვეტელათ ბარიკადებზე იბრძოდა თურმე. ხირსელი „ცნობის ფურცელშიაც“ თანამშრომლობდა. სხვათა შორის, მან გადათარგმნა ქართულათ ანდრეევის მოთხრობა „წითელი სიცილი“, რომელიც „ც. ფ.“-ში იბეჭდებოდა და ამას წინეთ ცალკე წიგნაც გამოვიდა. თფილისის სადგურზე ხირსელის ცხედარს მშობელ-ნათესავთა გარდა გარეშე საზოგადოებაც ბლომათ დაუხვდა. მიცვალებულის ცხედარს გვირგვინები ამშვენებდა შემდეგნაირის წარწერებით: „მოსკოვის ბარიკადებზე დაღუპულს“, „თავისუფლებისთვის თავგანწირულ მებრძოლს“, „სახალხო საქმისთვის თავდადებულს“ და სხვ. გვირგვინები იყო: ს. ფედერალისტებისაგან, „ც. ფ.“-რედაქციიდან, „ვოზროჟდენიეს“ რედაქციიდან, ვაჟთა მე-2 გიმნაზიიდან, ქართველ ქალთაგან, მეგობრებისგან და ნათესავებისაგან. სადგურიდან კუბო ხელით კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიის სასაფლაოსკენ წაასვენეს. გზა-გზა მუშების და ახალგაზრდათა რამდენიმე ხორო მარსელიეზასა და სამგლოვიარო მარშს მიიმღეროდა. დუქნებ-მაღაზიები დაკეტილი იყო. პოლიცია აღარსა ჩანდა. მხოლოდ სასაფლაოს მახლობლათ ყაზარმიდან რამდენიმე სალდათები აფიცრით შეხვდა როცესიას, ამასთანავე რამდენიმე კაზაკებით პოლიცმეისტერიც მოვიდა და რაზმები ეკლესიის გალავანთან გაამწკრივა, ხალხში მარსელიეზის მღერა შეწყვიტეს, სიტყვა დასაფლავებაზე არავის უთქვამს.

◆ გაზ. „ნაშა ჟიზნს“. სარწმუნო წყაროებიდან გაუგია, რომ 26 აპრილს გამოცხადებულ იქნება **ფართო ამნისტია**, რომელიც შეეხება მეტის მეტათ ბევრ პოლიტიკურ დამნაშავეებს და უეჭველათ ყველა იმათ, ვინც სასჯელს იხდის ბეჭდვითი სიტყვის დროებითი წესების დარღვევისათვის.

◆ თფილისის პოლიცმეისტერმა თფილისის ყველა საპოლიციო უბნების ბოქაულთ შემდეგი **ბრძანება** დაუგზავნა: „წინადადებას ვაძლევ ბ.ბ. ბოქაულთ იმ შემთხვევაში თუ რომელიმე პოლიციის მოხელე ან გოროდოვოი მოკლეს ან დასჭრეს, საჩქაროთ წარმომიდგინონ ჩემს სამმართველოში ცნობები მოკლულთა ან დაჭრილთა ქონებრივ და ოჯახურ მდგომარეობაზე; ამასთან მაცნობონ, რა დროდან ითვლება სამსახურში რომელიმე პირი, და რა გარემოებაში მოხდა მოკვლა თუ დაჭრა.

◆ შაბათს, 22 აპრილს **კრება** ქონდათ ქართულ დემოკრატიულის, რადიკალურისა და ს. ფედერალისტების **პარტიების** წარმომადგენელთ. კრებაზე ერთხმათ შეთანხმდენ საარჩევნო მოქმედებისთვის ტაქტიკურ კითხვებში.

◆ როგორც გავიგეთ, თფილისში სავაჭრო ფირმათა და **კაპიტალისტების კავშირი** შემდგარა. ამათ მიზანია კავკასიაში მრეწველობის განვითარების საქმეს ხელი შეუწყონ. ძირითად თანხათ განზრახულია 800,000 მანეთამდე შეკრიბონ. აპერაციას 3, 500,000 მანეთით განსაზღვრავენ. ამ საქმეზე, როგორც გვითხრეს, უკვე აღუძრავთ შუამდგომლობა ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის წინაშე.

◆ „დუმის“ გახსნის დღეს, როგორც ამბობენ, თფილისის საშუალო სასწავლებლის მოსწავლეებს დაითხოვენ რამდენიმე დღით.

◆ თფილისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით **დაიხურა** რუსული გაზეთი „ვესენნი პოტოკ“-ი და სომხური „რაჯ“-ი.

◆ კვირას, 23 აპრილს, საღამოს 8 საათზე ვეზხლის მახლობლათ ანდრეევის ქუჩაზე ვიღაც უცნობმა სასიკვდილოთ დასჭრა ს. ზერტის მცხოვრები გლეხი ყაზარა ტურაშვილი, რომელიც საჩქაროთ მიხეილის საავათმყოფოში გააქანეს. როგორც ხმებია, ტურაშვილი **ჯაშუში** ყოფილა, ჯერ სოფელ-სოფელ დაყვებოდა თურმე კაზაკებს და ასისა და ათის თავებს უჩვენებდა, შემდეგ თფილისშიაც ჩამოსულა სავაჭროლოთ.

◆ დღეიდან რუსულ ენაზე გამოდის **ახალი ყოველდღიური გაზეთი** არ. ქუთათელაძის რედაქტორობით „ობზორ“ („მიმოხილვა“).

◆ ოთხშაბათს, 26 აპრილს გამოვა რკინის გზის მღვდლის მ. ბრიხნიჩევის **გაზეთი** „ვსტან სპიაშჩი“! („აღსდეგ მძინარევ“!.) გაზეთი რადიკალურის მიმართულების იქნება.

◆ „ვესენი პატოკ“-ში მოყვანილი ცნობა, ვითომ ივანე **გომართელი** კენჭის ყრაზე უარს აცხადებდეს, სიმართლეს მოკლებულია.

◆ თფილისის მესამე ნაწილის ს.-დ. საარჩევნო კომისიამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას **დაბეჭდოს ამრჩევლების** (იზბირატელების) სიები. გამგეობას, როგორც გავიგეთ, უკვე აზრათ ქონია ასეთი სიების დაბეჭდვა და საჭიროა, რაც შეიძლება დაჩქაროს.

◆ **ქუთაისის სატუსაღოდან** ამ დღეებში გაანთავისუფლეს რამდენიმე პოლიტიკური, სხვათა შორის ლეჟავა, ორი ნოქარი, დ. ქებაძე და გიორგი ასათიანი. უკანასკნელ ორს გადასახლება ქონდათ გამოცხადებული.

◆ **ქუთაისის სატუსაღოში** რამდენათაც შეიძლება წესიერებას იცავენ თვით ტუსაღები. ტუსაღები ირჩევენ მეთვალყურეს, რომელსაც ევალება წესიერების დაცვა.

◆ შუშიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ იქაურ სომხთა სემინარიის მასწავლებელთ ხმის უმეტესობით დაუდგენიათ **ბოიკოტი** გამოუცხადონ 1 მაისისთვის ეჩმიაძინში დანიშნულ **პედაგოგთა კრებას**. ამ კრებამ უნდა განიხილოს სომხების სკოლებში სწავლის საქმის მოწყობის საკითხი. სემინარიის მასწავლებელთ ეს კრება უკანონოთ მიაჩნიათ, რადგან იქ შეკრებილთა უმრავლესობა სომხობის ნამდვილი წარმომადგენლნი არ არიანო.

◆ დ. ჩოხატაურიდან გვწერენ: 22 აპრილს, აქ მდგომ კაზაკთა აფიცერს ღვინით და არყით გალეშილი კაზაკი, პრავიზიის ჩამოსატან ურმების გამოსაწვევათ გაეშვათ სოფელში (ფარცხმის საზოგადოებაში). კაზაკები მისცვივიან ადგილობრივ მცხოვრებ ბესო ცინცაძეს, რომელიც თურმე ამ დროს

# ფელეტონი

**ამონაკვნესი**

ტყევ, ისევ შენთან მოვედი,
რომ სევდა გაგიზიარო,
გითხრა ამბავი ტანჯულთა,
მით გული აგიწიალო.

ყური დამიგდე, ზურმუხტო,
წამს შეაჩერე შრიალი
და ჩემთან ერთათ შენც შესვი
ნაღველით სავსე ფიალი!

მტარვალი შემოგვესია
მთლათ ბოროტებათ ქცეული,
აგვიკლო, აგვაწიოკა,
ალორის ინდობს წყეული:

სახლ-კარი გადაგვიბუგა,
თუ რამ გვებადა წაგვართვა,
მშიერ-ტიტველნი დაგვყარა,
გვაწამა, ტყავი გაგვართვა;

ქალებს ნამუსი ახადა,
დაავდო შეგინებული;
მოხუცნი როზგ ქვეშ აკვნესა
თვალზე ცრემლ-მოდინებული;

ვაჟკაცნი ზოგი დაახრჩო,
ზოგი გაგზავნა ციმბირში,
ზოგი დახვრიტა, ზოგსა კი
სისხლი ადინა ცხვირ-პირში...

ეჰ, ტყევ, ვინ მოთვლის რა გვიყო,
ულევით ტანჯა და გვაწვალა,
მდუღარე ცრემლი გვადინა,
შეგვასვა შხამი, სამსალა!

რატომ?—იმიტომ, რომ ჩვენცა
ხმა ამოვიღეთ, ავდექით,
დავწყევლეთ ძველი წეს-რიგი
და ბრძოლის ველზე დავდექით.

„ჩვენც გვინდა თავისუფლება!“
ერთხმათ დავძახეთ ძმურათა
და შევაფურთხეთ მტარვალსა
უშიშრათ, გაბედულათა.

დიახ, ამისთვის დაგვსაჯა,
რომ დაგვიმონოს კვალათა
და სისხლი გვწოვოს ჩვეულებრ,
თან გვიმსახუროს ძალათა.

მაგრამ ამაოთ!.. ჩვენ ვიდრე
ძალი და ღონე გვექნება,
სულ ვებრძოლებით ბოროტ-სულს,
გული არ შეგვიშინდება.

ადრე თუ გვიან, შევმუსრავთ,
ბასრ მახვილს დავუტრიალებთ
და გამარჯვების სიმღერას
ხმა-ტკბილათ ჩავაწკრიალებთ!

**ვ. ჩახ-რუხაძე**

## ხმა ჩრდილოეთიდან.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

III

ს.-პეტერბურგი, 14 აპრილი.

მრეწველობის კრიზისი, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი თავისი საშინელებით პროლეტარიატს დაატყდა თავზე. ურიცხვი მუშა დარჩა ულუკმა-პუროთ. უკანასკნელ ცნობების თანახმად უსაქმოთ დარჩენილ მუშათა რიცხვი დღეს 40,800 უდრის. ეს მხოლოდ ერთ ქალაქში—პეტერბურგში. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ეს რიცხვი დღითი-დღე იმატებს და თუ დღეს ამოდენა ხალხს საჭმელ-სასმელი არა აქვს, ხვალ არ ექნება ბინა, ტანისამოსი... და ეს მოვლენა გუშინდელი დღის კი არ არის. კრიზისი კარგა ხანია მძვინვარებს; ყოველ დღე უმწეო მუშა ასობით და ათასობით რჩება ქუჩაში, მაგრამ აქამდის ეს საშიშ იმდენად არაფერს წარმოადგენდა, რადგანაც დამშეულთა რიცხვი არც ისე დიდი იყო. ეგრედ წოდებული „საზოგადოება“ გულცივათ შეყურებდა იმას, რაც იმის თვალწინ ხდებოდა, და განცხრომაში ატარებდა დროს. სააღდგომოთ მილიონები დაიხარჯა, როგორც ყოველთვის, სატახტო ქალაქში, მაღაზიებში ტევა არ იყო, ყველა მძიმედ დატვირთული მიისწრაფოდა სახლისკენ, და იქ კი, განაპირა ადგილებში, ქარხნების უბნებში, მხოლოდ კვნესა და გმინვა ისმოდა, იმათთვის არ იყო დღესასწაული, ისინი ლუკმა-პურსაც კი ნატრობდენ! უსაქმოთ დარჩენილ მუშას პირველი დამხმარე ისევ თავის წრეში, მუშებში გაუჩნდა: გაიმართა ქარხნებში ხელისმოწერა, მუშებმა გადადვეს თავის მცირე ხელფასიდან ნაწილი დამშეულთა დასახმარებლათ და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რომ გაუადვილონ თავის მოძმეთ ეს გაჭირვებული სიცოცხლე. მაგრამ აი, უსაქმოდ დარჩენილთა რიცხვმა იმატა, „სარეზერვო არმია“ საშინლათ გაიზარდა და თავის არსებობითაც კი მუქარას წარმოადგენდა ბურჟუაზიისათვის... ახლა კი დაიბერტყა საზოგადოებამ ყურები, დაფაცურდა ქალაქის თვითმართველობაც, რაკი შეიტყო, რომ მუშების დეპუტატები აპირებენ ესტუმრონ „ქალაქის მამებს“. ფიცხლავ დაინიშნა საბჭოს სხდომა მუშათა მოთხოვნილებების განსახილველათ. მუშათა დეპუტატების გარდა ამ სხდომაზე დასასწრებლათ გამოცხადდენ სხვა დეპუტატებიც, მაგ., კადეტების, მუშების დამხმარე კომიტეტის და სხ. მიუხედავათ იმისა, რომ ეს სხდომა დანიშნულია განსაკუთრებით ამ საგნის განსახილველათ, საბჭო ბევრს თათბირობს იმის შესახებ, მიიღოს დეპუტატები თუ არა? ბოლოს, როგორც იქნა დეპუტატები წარუდგენ საბჭოს. პირველი სიტყვა კადეტების ლიდერს, პ. მილიუკოვს ეკუთვნის. ორატორი აღნიშნავს, რომ უსაქმოთ დარჩენილთა საკითხი მეტათ გამწვავებულია და ამიტომ საჭიროა საბჭომ **რამე** იღონოსო. ამით კმაყოფილდება ორატორი. მოსალოდნელი იყო, რომ ბ-ნი მილიუკოვი უფრო ღრმათ ჩაუკვირდებოდა საგანს, ყოველმხრივ გაარკვევდა მას და ნამდვილ ზომებსაც უჩვენებდა საბჭოს ამ ძნელი საქმის მოსაგვარებლათ. მაგრამ ის აღნიშნავს მხოლოდ ფაქტს და საჭიროთ სცნობს, რომ საბჭომ „რამე“ იღონოს. აბა, ახლა ყური დაუგდეთ მეორე ორატორს, ფერმკრთალ, გამხდარ მუშას:

„საშინელი უსაქმობის გამო ურიცხვი მუშა დარჩა ულუკმა-პუროთ,—ჩვენ არ გვინდა სამოწყალოთ გავაშვიროთ ხელი და ამ ნაირათ ვიარსებოთ. ქალაქს ბევრი სხვა და სხვა გვარი სამუშაო აქვს და აი, იმ დროს, როდესაც ქალაქის განაპირა ადგილებში, ჩვენს ბნელსა და ნესტიან სოროებში სიკვდილი და შიმშილი გამეფებულან, ამ სამუშაოს სხვებს აძლევენ, საზღვარ-გარეთ. ქალაქის ფული—საზოგადო კუთვნილებაა და საზოგადოებას უფლება აქვს ქალაქს ანგარიში მოსთხოვოს, თუ რას ხმარდება ეს ფული. ჩვენ მოვითხოვთ საზოგადო სამუშაოს, რომელსაც დაუყონებლივ უნდა შევუდგეთ. თუ ეს ჩვენი მოთხოვნილება დაკმაყოფილებულ არ იქნა, ჩვენ ამას ამხანაგებს ვაცნობებთ და მაშინ თქვენ იძულებული გახდებით დამშეულთა უშველებელ არმიას გაუწიოთ ანგარიში. ბ.ბ. ხმოსნებო!—უმაღლებს ორატორი მთრთოლვარე ხმას,—რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში პირველ წყებაში ჩვენ მივდიოდით, პირველი ტყვია ჩვენ გვიხვრეტდა გულს და რეაქციის საშინელებანიც პირველათ ჩვენ დაგვატყდა თავს: ულუკმა-პუროთ ქუჩაში დავრჩით. ოთხი თვის განმავლობაში ჩვენ და ჩვენი ცოლშვილი ამაოთ ველოდით თქვენგან შველა-დახმარებას და აი, ბოლოს თვითონ მოვედით თქვენთან. მოვედით არა მოწყალებისათვის, არამედ სამუშაოსათვის. ჩვენ არ გვინდა ვიკვებებოდეთ თქვენი სუფრის ნამცეცებით, გესმისთ თუ არა—არ გვინდა. ჩვენ გვინდა ვიშრომოთ და შრომით მოვიპოვოთ პური. ვიმეორებ—ჩვენ მოვითხოვთ, რომ ქალაქმა სამუშაო გაგვიჩინოს. ჩვენ დიდ ხანს ვიცადეთ, ბევრი ვითმინეთ,—მეტი კი აღარ შეგვიძლია. დაუყონებლივ მოგვეცით პასუხი“..,

საბჭო განსაცდელშია... მას უნდა ჩვეულებრივათ საქმე გადასდოს, მუშები მოიშოროს და მერე, შეიძლება, ავათ იქნება თუ კარგათ, ამ კრიზისსაც ბოლო მოეღება. თავმჯდომარე ცდილობს დაამშვიდოს მუშები, პირდება—საქმეს განვიხილავთ მერე გიპასუხებთო, მაგრამ ამაოთ: პასუხი, პასუხი,—გაისმის ხმები. ხმოსნები თათბირობენ, ბოლოს ირჩევენ კომისიას, რომელსაც ევალება მუშების დაკმაყოფილება და ჯერ-ჯერობით კი იმ 50,000 მან. განაწილება, რომელიც საბჭომ ამ საქმისათვის გადასდო. რასაკვირველია, ეს ფული ვერ იხსნის მუშებს გაჭირვებიდან, თუ კომისიამ უსაქმოთ დარჩენილთ საჩქაროთ სამუშაო არ მისცა, მაგრამ ესეც მხოლოდ დროებითი ზომა იქნება და კრიზისის სიმწვავეს ის ვერ ააცდენს მუშებს. ამ კრიზისს მთელი მისი შედეგებით უფრო ღრმათ აქვს ფესვი გადგმული და უფრო ღრმა სოციალური მნიშვნელობაც ექნება რუსეთის ცხოვრებისათვის.

Enfant terrible

ყანას ხნავდა, და მათრახის და თოფის კონდახის ცემა-ტყეპით დაბრუნებული გაუსტუმრებიათ ხარებით. მაგრამ ხარებს ურმის მაგივრათ კავი (ჩვენებური გუთანია) წაუთრევიათ. შემდეგ შეცვივნულან ზესოს სახლში. ქურდები გაქცეულან, სახლში მხოლოდ 2 სული მცირე წლოვანი ბავშვები დარჩენილან. კაზაკები შესულან სახლში, გამოუთრევიათ ბავშვები და იმ ზომამდე უცემიათ, რომ დღეს ექიმი ლორ-ლორად ზურგიდან ტყავს აძრობდა. შემდეგ მივარდნიან მეზობლად მცხოვრებ მოხუც იესე ცინცაძეს (70—75 წლისა) და მათრახის ცემით „სამართლიზა" წაუთრევიათ... და ეს იმიტომ, რომ იესეს ხარები არ ყოლია.

✦ ბ-ნმა ილია კარკარეთელმა შუამდგომლობა აღძრა თფილისის გუბერნატორის წინაშე ნება დართოს თავისივე რედაქტორობით თფილისში გამოსცეს ყოველდღიური პოლიტიკურეკონომიური გაზეთი „ტალღა".

✦ შაბათს, 22 აპრილს, ვიღაც უცნობი მისულა სტეფანოვის ღვინის სავაჭროში და რადგანაც „საზეინი" არ დახვედრია, პატარა დაუტოვებია, სადამის მელოდეთ. სადამის ხელახლა მასულა და 10000 მან. მოუთხოვია. უცნობისთვის უკითხავთ, ვისი სახელით მოითხოვთ ამ ფულსო. მე ასე მიბრძანეს წერილით, მხოლოდ არ ვიცი კი ვინ მიბრძანაო. ასეთ ლაპარაკს ხმაურობა გამოუწვევია, ხმაურობაზე გოროდავოი მასულა და უცნობი ცემა-ტყეპით პოლიციაში წაუთრევია.

✦ კვირას, 23 აპრილს დანიშნული „თფილისის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების" წევრთა კრება ვერ შესდგა, რადგან წევრთა საკმაო რიცხვი არ დაესწრო. კრებაზე უნდა აერჩიათ ბანკის ახალი მმართველი ამას წინეთ მოკლულის განძაულის მაგივრათ. კრება ხელახლათ 7 მაისისთვის დაინიშნა.

✦ კვირას, 23 აპრილს, არსენალიდან დღესასწაულის გამო რამდენჯერმე გაისროლეს ზარბაზანი, ამან ქალაქში ზოგან დიდი ალიაქოთი გამოიწვია. სხვათა შორის სალდათის ბაზარში ყველას ეგონა ეს არის ამოგზნებულიყო და არავინ იცოდა სად გარბოდა. ალიაქოთის დროს სხვათა შორის ხელი მოიტეხა პოლიცმეისტრის სამართველოს ერთმა მოხელემ ი. ანიციამ.

✦ კვირას, 23 აპრილს, მოსკოვიდან მოასვენეს ნაფიც ვექილის მელიქ-ადამოვის გვამი.

✦ 8 აპრილს სადღაც გადამალა ტრამვაის ყოფილი კონდუქტორი ამნაიშვილი. ამბობენ, ვითომც ამნაიშვილი ჭკუაზე შეშლილიყოს. ნაცნობებს სთხოვენ თვალ-ყური ადევნონ და თუ სადმე შეხვდეთ, დაუყონებლივ აცნობონ „დამპრის" რედაქციაში.

✦ მესამე საპოლიციო ნაწილის ბოქაული ბოიარინოვი მეათე საპოლიციო უბანში გადაიყვანეს, მესამე საპოლიციო ნაწილის დროებით მოვლა ბოქაულის თანაშემწეს გაგიევს დაევალა.

✦ 23 აპრილს, სადამოს 7 საათზე პესკის ქუჩაზე, მერვე საპოლიციო ნაწილის მორიგ პოლიციელმა შეიპყრო თფილისის მოქალაქე გაბო მახარაშვილი, რომელსაც ეს ერთი ხანია პოლიცია დაეძებდა, რადგან მახარაშვილს აბრალებდენ თფილისის მოქალაქის ალექსანდრე ხაბალაშვილის სასიკვდილოთ დაჭრას. მახარაშვილი გამოტყდა დანაშაულში, რის გამო იგი პასუხის გებაში მისცეს და გაგზავნეს სადაც ჯერ არს.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზათა თფილისის უმთავრეს სახელოსნოებში მოსამსახურეს თევზაძეს 22 აპრილს, ღამით ორი შეიარაღებული კაცი შეუვარდა სახლში, ხოლო სხვები თევზაძის სახლს გარს შემოერტყენ. ბოროტ-განზრახველთ 200 მანეთამდე სხვა და სხვა ნივთები წაიღეს და ნაღდათ ერთი კვირით წინ ბანკიდან გამოტანილი 300 მანეთი და მიიმალენ.

✦ 23 აპრილს, სადამოს 10 საათზე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ გაუტეხიათ ბაზრის ქუჩაზე იულო მამისაშვილის სადალაქო, აქედან ქვის კედელი გაუნგრევიათ და მეზობელ გასტრონომიულ მაღაზიაში გამძვრალან, საიდანაც 300 მანეთამდე ღირებული სხვა და სხვა ნივთები გაუტაცნიათ. ბოროტ-გამზრახველთ ვერ მიაგნეს.

# დ ე პ ე შ ა

(საკუთარის კორესპოდენტისაგან)

**ფოთი**. ამომრჩევლებათ აირჩიეს: გიგინეიშვილი, ანდრია ღოლუა, ნ. ნაჟიდაძე და ფანცხავა.

პირველი ორი—სოციალდემოკრატებია.

## სათათბიროს არჩევნები

ქვირილიდან გვწერენ: სოფლებში გლეხებისაგან რწმუნებულების არჩევნები დაიწყო თუ არა რეაქციონერები დაფაცურდნენ, რომ თავიანთი კანდიდატები გაეყვანათ. ბოქაული მახარაძე ჯარებით სოფლიდან სოფლათ დარბოდა და ხალხს უბრძანებდა მთავრობის მომხრეები აირჩიეთ, თორემ დასჯებითო. ბოქაულის მუქარამ ვერ გასჭრა და სამაზრო არჩევნებზე გუბერნიის ამომრჩევლებათ ხუთივე სოციალ-დემოკრატები აირჩიეს.

— სამტრედიის საბოქაულოში 20 აპრილს მოხდა თავად აზნაურობის და წვრილი მემამულეების შეერთებული კრება, სამაზრო რწმუნებულების ასარჩევად. კრებას დაესწრო ქუთაისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი დავით ნიჟარაძე. არჩეულ იქმნა 45 რწმუნებული მაზრისათვის ყველანი **სოციალდემოკრატებია**. არჩევნებით ძლიერ უკმაყოფილო დარჩა თავადაზნაურობის უფრო კონსერვატიული ნაწილი, რომლებიც ბევრს ცდილობდენ სხვადასხვა ხრიკებით, მაგრამ ვერც ერთი რწმუნებული ვერ გაიყვანეს.

— 19 აპრილს ბაღდადში მოხდა 9 საზოგადოების მემამულეთა კრება. კრებაზე 2,000 კაციდან გამოცხადდა მხოლოდ 1,000. აქედან არჩევნებში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ 400 კაცმა. არჩეულ იქნა 24 კაცი სამაზრო რწმუნებულებათ: 1) ვარლამ ამარანის-ძე ბურჯანაძე, 2) გიორგი ჯუღელი, 3) ბესარიონ კვირიკაძე, 4) ივანე გუმბერიძე, 5) ბესარიონ მაღლაკელიძე 6) ალექსანდრე კბანიაძე, 7) კონსტანტინე ბაბიჩაძე 8) პეტრე ბაჯაძე, 9) არსენ დვალიშვილი, 10) პეტრე ბაგდავაძე, 11) გიორგი ნებიერიძე, 12) ვასილ მაჭავარიანი, 13) სესიკო კოხოძე და 14) ივანე ბურკაძე. ყველა ეს თოთხმეტი კაცი **სოციალდემოკრატებია**. დანარჩენი ათი კაცი სხვა პარტიებს ეკუთვნიან ან უპარტიონი არიან,—სახელდობრ: 15) გიორგი ახვლედიანი, 16) გიორგი იოსელიანი, 17) ალ. ნიჟარაძე. 18) ალექს. ერისთავი, 19) ჩიჟავაძე გიორგი, 20) ნიკოლოზ დემეტრაძე—გამოურკვევლები. 21) გაბუნია ილარიონ, 22) მერკვილიშვილი მოსე და გოგორიშვილი იოსებ—პარტიის გარეშენი. 24) ერისთავი თენგიზ—კადეტი. კრებას თავმჯდომარეობდა მარშლის მოადგილე თავ. ნიკოლოზ ნიჟარაძე.

## მ უ შ ა თ ა  შ ო რ ი ს

კიდევ არ იქრა და არ უშველა ზოგ-ზოგ ჩვენ ხაზეინებს და არ მო შალეს ძველი ადათ-ჩვეულება. რეაქციის გამარჯვებით ამათაც ისარგებლეს, თავი მაღლა ასწიეს და რაც ბრძოლით და სისხლით მუშებმა მოიპოვეს ცდილობენ ხელიდან გამოსტაცონ. აი ხომ ხედავთ საალუე წესებია, ამბობენ თავ-გასული ხაზეინები, საწყლებს სამხედროც ვერ მოუგონებია, თქვენთვისაც არის კიდევ ციხეში ადგილი ხომ არ გგონიათ რომ ძველებურათ ინავირდოთ კიდევ. აი მაგალითად ვერაზე პეტრე ჩუბინიძე ერთ ჩვენს ამხანაგს წაეჩხუბა ხუროებზე რომ ფურცლები იყო ხამი მუშების შესახებ ვინ მოკლა ან ვინ დაბეჭდა მითხარი თორემ გარადავოის დავაჭერინებ შენს თავსო. და კიდევაც ასე იზამდა, რომ ამხანაგს წინააღმდეგობა არ გაეწია. ნაბერეჟნი ქუჩაზე, სომეხ მურადამაც ისარგებლა რეაქციით და მუშებს გარიგებული ფასი არ მისცა. ხშირათ შეხვდებით ამგვარ ვაჟბატონებს რომ საწყალ-დაჩაგრულს მუშებს ეალერსებოდენ, თქვე საწყლებო, არავინ მოგატყუილოთ ქარის მომატება, სამუშაო დღის საათობით მუშაობა არ მოითხოვოთ თორემ დაილუპებითო, ბევრს ვედარ აიღებთ და ციხესაც იგემებთო. ხომ ხედავთ ვიენში პოლოჟენია არის. საწყალი ჩვენი ადები პეტრე, მურადა და ბამიდონ სცდებიან, ტყუილათ მუშა იმათ აღარას დაუთმობს პირ იქით, მეტსაც მოითხოვს და მოიგონებს წარსულ თიბათვეს. ძვირფასო ამხანაგებო! თქვენ არ შეშინდეთ და არავინ მოგატყუილოთ რომ მთავრობა გამარჯვებული იყოს პირ-იქით შენგრეულია თვითმპყრობელის ტახტი თქვენც განაგრძეთ და მხარი დაუჭირეთ რუსეთის ბედნიერ გმირ მებრძოლ პროლეტარიატს, რომ მიაღწიოთ ყველა მიზანს და დაადგინეთ რვა ან ცხრა საათის სამუშაო დღე. თავისუფალი დრო თქვენ გათვითცნობიერებას მოახმარეთ, და როცა შეიგნებთ ვინ არის თქვენი მოსისხლე მტერი, ვინა გწოვთ სისხლს და ვინ არი თქვენი მჩაგვრელი, მაშინ ხაზეინები კი არა მთელი ქვეყნის ჯოჯოხეთური ძალებიც ვერას დაგაკლებთ.

**ხურო.**

—

**ტოლეს ზეთისა და საპნის ქარხანა.** 18 აპრილს აქციონერთა საზოგადოების (ტაეროლ-ალიხანოვ-ტოლე) ზეთისა და საპნის ქარხნის მუშებმა, რიცხვით 150 კაცმა ქარხნის ადმინისტრაციის მოთხოვნილება წარუდგინეს. ისინი თხოულობდენ მუშაობა დილის ექვს საათზე დაწყებულიყო ნაცვლათ შვიდისნახევრისა, ე. ი. ნახევარი საათით ადრე და გათავებულიყო ნაშუადღევის $3^1/_2$ საათზე ნაცვლათ 4 საათისა. როგორც ხედავთ მოთხოვნილება მხოლოთ იმაში მდგომარეობს, რომ მუშაობა ნახევარი საათით ადრე დაეწყოთ და ადრე წასულიყვნენ შინ. აქ ადგილი არა აქვს სამუშაო დღის შემოკლებას და უეჭველია ვინც წაიკითხავს იფიქრებს: ნუ თუ ამ უბრალო მოთხოვნილებაზედაც მუშებს ბრძოლა სჭირიათო. წარმოიდგინეთ მკითხველო ადების კაპრიზისათვის ესეც დიდი საბუთია. ქარხნის დირექტორმა, ტოლემ, აღუთქვა მუშებს მაცადეთ, ინსპექტორს წერილს ვწერ და გაცნობებ რომ 25 აპრილიდან 6 საათზე დაიწყება მუშაობაო. ეს ქაღალდი ერთი მუშისათვის უჩვენებიათ. წერილში სწერია თურმე, რომ ქარხანაში 25 მარტიდან მუშაობა დილის 6 საათზე იწყებაო. ეს ერთგვარი ხრიკი იყო დირექტორისა, მაგრამ არც ეს წერილი გაეგზავნა დანიშნულებისამებრ.

19 აპრილს მუშებმა თავისი ნებით იწყეს მუშაობა დილის 6 საათზე. $3^1/_2$ თავი დაანებეს. როგორც მოსალოდნელი იყო ბატონი დირექტორი ბრაზმა აიტანა. მეორე დღეს 6 საათზე მუშებს ქარხნის კარები დაკეტილი დახვდათ. შესრულდა $6^1/_2$ ს. კარები მაინც არ გააღეს. ბ-ნი დირექტორი შიგნიდან ეკითხებოდა: „გინდათ თუ არა მუშაობა"—მუშები რასაკვირველია თანხმობას აცხადებდენ. კარები მაინც არ იღებოდა. როგორც შემდეგში გამოირკვა, დირექტორს ჰგონებია მუშები ძალით შემოამტვრევენ კარებს და საბუთი მექნება პოლიციას დავუძახო შურის საძიებლათო. ეს ხერხი გაუგეს მუშებმა და ძალა არ უხმარიათ. დირექტორმა კარებში ყარაული ჩააყენა და უბრძანა არავინ შეეშვათ. ამ ხერხითაც ალბათ სხვა რამეს მოელოდა გამოცდილი ადმინისტრატორი, მაგრამ მოსტყუვდენ. როცა მუშებმა მოისმინეს ყარაულების პასუხი, არ გიშვებენ სამუშაოთო,—უკან გამობრუნდენ. რამდენათ ბავშვურია ბ-ნი დირექტორის კაპრიზი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. 20 აპრილიდან მუშაობა შეწყვეტილია. ასეთი უბრალო მიზეზებით, განგებ ხელოვნურათ იწვევს ხოლმე გაფიცვას თავ გასული ადმინისტრატორები.

X

—

დიდი ხანია საზოგადოებამ იცის თუ რა ვაჟბატონია „ბანკოვის" სასტუმროს პატრონი გიორგი სხირტლაძე. აი კიდევ ერთი მაგალითი მისი საქციელისა: 19 აპრილს „ბანკოვის" სასტუმროში ივახშმა ერთმა აფიცერმა, რომელიც სხირტლაძის კარგი ნაცნობია. აფიცერმა 9 მ. 50 დახარჯა, მაგრამ ანგარიშის გასწორების დროს მას 4 მ. 50 კ. აღმოაჩნდა. აფიცერი სხირტლაძესთან მივიდა და უთხრა, რომ 4 მ. 50 კ.-ს ეხლა ვიხდი 5 მ. კი ჩემზე დარჩესო, რაზედაც, რასაკვირველია, სასტუმროს პატრონი დაეთანხმა.

როცა სტუმრები რესტორანში რამეს მოითხოვენ ფასს ლაქიები წინ და წინ იხდიან. აქაც ასე მოხდა: აფიცრის ნახარჯი ლაქიამ წინ და წინ გაისტუმრა. შემდეგ ხაზეინს მოსთხოვა, რომ აფიცრის მაგიერ გადახდილი ხუთი მანეთი უკან დაებრუნებია, მაგრამ სხირტლაძემ ერთი ალი მორთო, ლაქიას ლანძღვა გინება დაუწყო და ვაჭრობაც კი აუკრძალა. ამ გარემოებამ ლაქია მოთმინებიდან გამოიყვანა და ბუფეტის დახლს მუშტი დაჰკრა, რამაც ლაქიასა და ხაზეინს შორის ცემა ტყეპა გამოიწვია. ამ ამბის გამო სხირტლაძის მოსამსახურეებმა თავი მოიყარეს და შემდეგი დაადგინეს: სხირტლაძესთან 15 დღის განმავლობაში არ იმუშაონ და გამოეცხადოს ბოიკოტი, რასაც პატივცემულ საზოგადოებას გაზეთის საშუალებით აცნობებენ. ბოიკოტის დამრღვევი არა საიმედო პირათ ჩაითვლება. ბოიკოტის გათავების შემდეგ სხირტლაძეს მოთხოვნილებებს წარუდგენენ.

ეს ამბავი, გთხოვთ, სხვა ადგილობრივ გაზეთებმაც გადაბეჭდოს.

**მოსამსახურეები.**

## კადეტების ლექციაზე

გ. თუმანოვის ლექციამ—კავკასიისთვის სახელმწიფო სათათბიროს მნიშვნელობისა და ავტონომიის შესახებ, რომელიც მან ამ ორი კვირის წინეთ წაიკითხა კავკასიის იურიდიულ საზოგადოებაში, ერთმანეთს დაუპირდაპირა ორი სხვადასხვა მიმართულება ავტონომიის საკითხის გადაწყვეტაში. ქართველი და სომეხი ბურჟუა—ავტონომისტები გ. გვაზავას პირით ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას ითხოვენ საქართველოსთვის, ხოლო სომხები ვითომ—კადეტები ვერმიშოვ-ხატისოვ-თუმანოვის პირით კავკასიის ავტონომიას იცავენ. როგორც ერთისა, ისე მეორეს მხრით ბევრი საყურადღებო სიტყვები ითქვა.

შაბათს 22 აპრილს თუმანოვის ლექციის შესახებ კამათზე სხვათა შორის დაახლოვებით შემდეგი ითქვა;

**ბ ნი ვერმიშევი**. კადეტების პროგრამაში ავტონომიის საკითხი წინასწარ გადაწყვეტილია იმნაირათ, რომ სხვადასხვა ერთა ავტონომია სასურველათაა მიჩნეული (პროგრამის მე-24 მუხლი). რაც შეეხება იმას, თუ რანაირი ავტონომიაა ჩვენთვის საჭირო, ეს ჩვენ თვითონ უნდა გამოვიკვლიოთ და ამ საგანზე ყველა მოგალე ვართ ჩვენ ჩვენი აზრი წარმოვადგინოთ, რომ საკითხი სასურველათ გადაწყდეს. მე წინააღმდეგი ვარ ბ-ნ გვაზავასი, რომელიც ვერაფერ საერთოს ვერ ხედავს რაჭ ელ გლეხისა და მუშელ სომეხ შორის. პირიქით ამათ შორის საერთო ბევრი რამ მოიპოვება. ისტორიულათ ჩვენ ისე ვართ ერთათ შეკავშირებული, რომ დღეს მათი ასეთნაირათ განცალკევება შეუძლოა. რუსეთის მთავრობას მარტო საქართველო არ დაუპყრია ქართველებით, არამედ სომხები და სხვადასხვა ერებიც. როგორც ერთნაირათ დაპყრობილები, ჩვენ ერთნაირათ უნდა გვითავისუფლდეთ. ალა-მაჰმად-ხანი რომ საქართველოს შემოესია—კი არ გაურჩევია ქართველები სომხებისაგან ან კიდევ ბორჩალოს თათრებისაგან,—ყველას ერთნაირათ სდევნიდა. და განა მომავალშიაც არ განმეორდება ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა? ასეთი საერთო უბედურებები არ დაგვატყდება თავზე? საჭიროა კოლექტიური მონაწილეობა კავკასიის ყველა ერის წარმომადგენელთა ერთ პარლამენტში უნივერსიტეტის, სასახლო და სხვა დაწესებულებების და საჭიროებათა საკითხების გადასაწყვეტათ. აქ ქართველებმა სომხების მოთხოვნებს უნდა დაუჭირონ მხარი, სომხებმა ქართველებისას, ამ უკანასკნელთ კიდევ თათრებისას და სხვ. საერთო ავტონომია კავკასიის ყველა ერთათვის,—აი რას ვთხოულობთ ჩვენ რუსეთის განახლების რიგრაფზე.

ამის შემდეგ ილაპარაკა ბ-ნმა გრუზენბერგმა, რომელმაც ჯერ ათასჯერ გადაღეჭილი აზრი გაიმეორა ავტონომიაზე და შემდეგ მაქსიმე კოვალევსკიც იმოწმა ამის შესახებ. გრუზენბერგის აზრით ნაციონალური საკითხი—დაწყევლილი საკითხია. იგი სრულიად რომ არ არსებობდეს კაცთა შორის შედარებით მეტი სიყვარული დამყარდებოდა, თვითონ ის, გრუზენბერგიც წინააღმდეგია ნაციონალურ საკითხებზე კამათისა, მაგრამ რაკი ერთი ერი ქებს თავის უფლებებს, მეორე ერმაც, რომელიც პირველის მეზობლათ სცხოვრობს, უსათუოთ თავისი თავის დაცვის ინსტიქტების მოხებით ყურადღება უნდა მიაქციოს ნაციონალურ საკითხს. ამ მხრით თუ შევხედავთ საქმეს, მხოლოდ ავტონომია გვიშველის და დაგვამშვიდებს—სხვა არაფერიო.

**გ. გვაზავა**. ჩემ წინააღმდეგ სხვათა შორის ის აზრი წამოაყენეს, თუ ვინ უნდა განაგებდეს ტერიტორიალურ ავტონომიაში ნავთ-საყვანისა, წყლით სარგებლობისა და უნივერსიტეტების საქმეს. ეს სრული უვიცობაა. ნავთ-საყვანისა და ამ გვარი საკითხები ცენტრალურ მმართველობის საქმე იქნება, რაც შეეხება წყლით სარგებლობის საქმეს, რა საქმე აქვს, მაგალითად ქუთაისის გუბერნიაში მცხოვრებ ქართველს ბაქოს გუბერნიის მორწყვის საკითხთან. ეს საკითხი ადგილობრივ უნდა ირკვეოდეს. რაც შეეხება უნივერსიტეტებს,—ეს ხომ თავის თავათ ცხადია, რომ მათ ავტონომიური მართვა-გამგეობა მიენიჭებათ და ყოველ ნაირ საკითხს შინაურულათ გადაწყვეტავენ. უნდა შევნიშნო ჩემ მოწინააღმდეგეთ კიდევ შემდეგი: კავკასიის საერთო სეიმში რომელ ენაზე იქნება საქმის წარმოება? სომხურზე?—მაშინ ქართველმა რა დააშავა; ქართულზე?—ამას ხომ სომხები არ იზამენ, ასე მოიქცევიან თათრებიც: რუსულზე?—მაშ სად არის თავისუფლება და ავტონომიის პრინციპი? ჩემ მოწინააღმდეგეთა აზრი, ვითომ ჩვენი დეპუტატები სოლიდარულათ ვერ იმოქმედებენ სახელმწიფო სათათბიროში,—მე შეცდომათ მიმაჩნია. ავტონომიის საკითხს გარდა არის საკითხი მოქალაქობრივ თავისუფლების და სხვ., რომელნიც ყველა ჩვენ დეპუტატებს ერთნაირათ სწამთ და ამ შემთხვევაში ერთი მეორეს მხარს დაუჭერენ. მომენტმა კითხვა პირდაპირ დააყენა: ძველი რეჟიმი თუ ახალი? აქ ორჭოფობა შეუძლებელია.—მოქალაქობრივ თავისუფლებების განხორციელების საქმეში ავტონომიას დიდი მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება იმ აზრს, თითქოს ჩვენ ჩინურ კედლებსა და საზღვრებს ვუდებდეთ სხვა და სხვა ერთა ტერიტორიალურ ავტონომიებს,—ეს შეცდარი აზრია. აქ ერთი ანეკდოტი მაგონდება, თუ როგორ მოთხოვა ერთმა მგზავრმა მეზღვაურს ბინოკლი და უნდოდა ეკვატორისთვის შეეხედნა. რამდენიც უნდა ცდილიყო, რასაკვირველია, ვერ დაინახავდა. ასევე ვერ დაინახავს, რამდენიც უნდა ეცადონ საზღვრები სხვა და სხვა ერთა ტერიტორიალურ ავტონომიებისა. რაც შეეხება მუშებს, ისინი განუყოფელებელი არიან (!), მარტო პროკლამაციებს კითხულობენ ზედ-წარწერით: „პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!" და რასაკვირველია, „ყველა ქვეყნებზე" ლაპარაკის დროს ავტონომია რადაც ეჭვს უღძრავთ.

ამის შემდეგ ილაპარაკეს ვერმიშევმა, ალიბეგოვმა და გუნცაძემ. ალიბეგოვმა სხვათა შორის ის აზრი გაიმეორა, რომ კავკასიის ავტონომია საჭიროა, კუთხეებიდან მოკლე ცნობა ამოიკითხა და შემდეგ დაიწყო: საქართველოს წვრილ-წვრილ ერებს შეადგენენ—მეგრელები, გურულები, იმერლები... მაგრამ საზოგადოებამ არ დააცალა ალიბეგოვს სიბრძნის დათვება.

ლექციის ბოლოს ასევ ლექტორმა დაასკვნა: ჩვენ მიზანს მივაღწიეთ ოღნავათ მაინც. გამოირკვა, რომ პრინციპიალურათ ავტონომიის წინააღმდეგი არავინ ყოფილა. რაც შეეხება პატივცემულ გ. გვაზავას მიერ წამოყენებულ აზრს—ეს მომავალში გადაწყდება. ჯერ-ჯერობით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჩვენ... შევთანხმდებით.. ცოტას ჩვენ დაგითმობთ, ცოტას თქვენ და... შევთანხმდებით..

**გ. გვაზავა**. თუ კულტურიანი ქასულეთი გინდათ შეუდაროთ აღმოსავლეთს დაუმორჩილოთ,—ამ შემთხვევაში შეთანხმებაზე ლაპარაკი ყოვლათ შეუძლებელია...

ამაზე სხვები წამოხტნენ, მაგრამ კამათი სხვა დროისთვის გადაიდო. ხალხი ღამის 12 საათზე დაიშალა.

**მსმენელი**

# რ უ ს ე თ ი

**პირველი მაისის დღესასწაულობა.** ვარშავამ ჩინებულად იდღესასწაულა პროლეტარიატის დღესასწაული—1 მაისი (18 აპრ.), მთელი ქალაქი გაიფიცა. არც ერთი მაღაზია, არც ერთი საჭირო დაწესებულება არ ყოფილა გაღებული, არც ერთი ეტლი არ გამოსულა ბირჟაზე. ქალაქში სამარისებური სიჩუმე გამეფდა. ქუჩებში პატრულები აქა იქ კარგა დიდი რაზმები იყო დაყენებული. შეტაკება არსად მომხდარა.

კოვნომაც საერთო გაფიცვით იდღესასწაულა 18 აპრილი.

მინსკში 18 აპრილს გაიფიცენ სტამბების მომუშავენი და ხოქრების ერთი ნაწილი. ქარხნებში მუშაობა პოლიციის ზედამხედველობით ხდებოდა. ვინც სამუშაოთ არ მოვიდა სწერდენ.

მოგილევში საერთო გაფიცვა მოხდა.

**შეტაკება.** 16 აპრილს, ქ. არხანგელსკში რამდენიმე ადგილას ხალხსა და პოლიცია-ჯარს შორის ძლიერი შეტაკება მოხდა. შეტაკების მიზეზი დემონსტრაციები იყო. ხალხი რევოლიუციონური სიმღერებით დადიოდა ქუჩებში. დემონსტრანტებს პოლიცია და ჯარის კაცები დაერივნ. ქვებით დასჭრეს პოლიცმეისტერი და ბოქაული, ხალხში ოთხი კაცი დაიჭრა.

**მუშათა დეპუტატების სვე-ბედი.** დაჭერილ მუშათა დეპუტატების საქმის გამოძიება დასრულდა. პროკურორმა კამიშანსკიმ ბრალდებულნი სამ კატეგორიათ გაჰყო: 1) უბრალო მაყურებლები; 2) ისეთი პირები, რომლებსაც შეიარაღებულ აჯანყებაში აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ცდილობდენ არსებული წყობილების დამხობას; 3) ისეთი პირები, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს შეიარაღებული აჯანყების მოწყობაში. პირველ ორ კატეგორიას ამნისტიით გაანთავისუფლებენ, მესამეს ისე სასტიკათ არ დასჯიან, როგორც იმათ დანაშაულებას შეეფერება.

**რეპრესიები ჯარში.** ლეიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკის სალდათებს იჭერენ. განსაკუთრებით სდევნიან მემუსიკე სალდათებს. მემუსიკეების უმეტესი ნაწილი კონსერვატორიის მოწაფეები არიან.

**პრისტავი ერმოლოვი.** 16 აპრილს გათავდა პრისტავი ერმოლოვის საქმის გარჩევა. ერმოლოვს პრივატდოცენტი ექიმი ვორობიოვის მოკვლა ბრალდებოდა. სასამართლომ ბრალდებული დამნაშავეთ იცნო, მაგრამ რადგანაც „პრისტავი დანაშაულის ჩადენის დროს აღელვებული ყოფილა", სასჯელი შეუმსუბუქეს; გადაუწყვიტეს ოთხი წლით ტუსაღთა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა.

**გაფიცვა.** 15 აპრილს მოსკოვში ქაღოს და კომპ. ფაბრიკის მუშებმა $1^1/_2$ საათზე ზარი დაჰკრეს და მუშაობას თავი დაანებეს. ფაბრიკის ეზოში გაიმართა მიტინგი, რომელზედაც მოთხოვნილებანი შეიმუშავეს. მუშები თხოულობენ ზედამხედველის დათხოვნას და დღიურ ქირის მომატებას. სულ ამ ფაბრიკაში 1,200 კაცი მუშაობს და მათგან 850 ქალია.

— ოთხი დღეა, რაც ფაბრიკა „დუკატის" მუშები გაიფიცენ. გაფიცვის მიზეზი ის იყო, რომ ფაბრიკის ადმინისტრაციამ სამუშაო დღის ერთი საათით გაგრძელება მოინდომა. სულ 900 მუშაა

— ტულაში რომ მუშების მღელვარება დაიწყო, ჩვენმა მკითხველებმა იციან. დათხოვნილი მუშები სახელოსნოებში შევიდენ და ამხანაგებს სთხოვეს, გაიფიცეთო. გაფიცვა დაიწყო.

**პოლიტიკური ტუსაღის გაპარვა.** ადესის სამხედრო სახამართლოს ეზოდან გაიქცა პოლიტიკური „დამნაშავე" კურლიუკოვი, რომელსაც შეიარაღებული თავდასხმა ბრალდებოდა.

**მთავრობის აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო.** პოლიციის დეპარტამენტს შიდა გუბერნიების გუბერნატორები მოახსენებენ, უკიდურეს პარტიებს დიდი ნდობით და თანაგრძნობით უყურებს მთავრობის რეპრესიებით გაბოროტებული გლეხობაო.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის მეოთხე ნომერში ს. მეტეხიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში სხვათა შორის მოხსენებულია: გ. ჯავ. მეტეხში მცხოვრებთ ტყის გადასახადათ 600 მანეთის მაგიერათ 800 მანეთი გადაახდევინა. ეს სიმართლეს მოკლებულია.

ს. მეტეხში მცხოვრებ გლეხებს და თავად-აზნაურთ (300 კომლზე მეტს), რომელთაგანაც ზოგიერთს საკუთარი ტყეებიც აქვთ, ჩემგან ხუთი წლობით იჯარით აქვთ აღებული ტყე წელიწადში 800 მანეთათ. საიჯარო ტყეში სჭრიან და გამოაქვთ თავიანთთვის სახმარათ რამდენიც დასჭირდებათ: შეშა, ფიჩხი, სარი, მარგილი და სხვა, ზოგიერთები კიდეც ყიდიან.

წარსული წლის იჯარის ფული მეტეხლებმა 800 მაგიერ მომცეს 700 მანეთი და არა 600 მა-

გიერ 800 მანეთი, როგორც ბ. მოვეთილი იწერება. დანარჩენი 100 მანეთი იჯარის ფული, რომელიც მეტეხელებმა მთხოვეს დამეთმო, მე დავუთმე.

რაც შეეხება ღალას, მეტეხელები ჩემ მამულს არ ხნავენ და რასაკვირველია ყოველივე ის უჯიათობა ღალის აღების შესახებ, რომელსაც ცდილობს ბ. მოცვეთილი სხვა მემამულეებთან მეც მომაწეროს, სრულებით მე არ შემეხება.

**თ. გრიგოლ იოსების ძე ჯავახიშვილი.**

# დეპეშები

(პეტერბ. და რუსეთის დეპეშათა სააგენტოებისაგან).

20 აპრილი.

**ლიონი.** კლემანსომ შემდეგი სთქვა ბანკეტზე: მთავრობას ორი მხრიდან მოელოდა სამოქალაქო ომი—მარჯნივა და მარცხნივ, როცა იგი მართვა-გამგეობას ჰკიდებდა ხელს. მთავრობა შუა გზას დაადგა. დიდად ვეცადეთ მშვიდობიანურის გზით გვემოქმედნა მცხოვრებლებზე გავლენის მოსაპოებლად, მაგრამ ამაოდ. არეულობის ჩაქრობის დროს იძულებული გავხდით გამოგვეწვია ჯარი. თუ სისხლის დაუღვრელად გათავდა საქმე, ეს მთავრობისა და ჯარის განსაცვიფრებელ გულგრილობის წყალობით მოხდა. მინისტრი პროტესტს აცხადებს იმ ბრალდების წინააღმდეგ, ვითომც მას დაერღვიოს გაფიცვის პრინციპი. არეულობის ჩაქრობა აუცილებელი იყო. ყოველ შემთხვევაში მუშებს სიმართლე უნდა ელაპარაკოს კაცმა. მინისტრი ზიზღით არღვევს იმ ინსინუაციას, ვითომც მას გამოეგონოს რაღაც შეთქმულობა. წართმეულ დოკუმენტებიდან სჩანს, რომ რესპუბლიკის მოწინააღმდეგე პარტიებმა, ორლეანს ჰერცოგის თაოსნობითა და ჩაგონებით, შეადგინეს მუშების აჯანყების პლანი. რეაქციონერები უარჰყოფენ შეთქმულობას, იმიტომ, რომ მათ იმედი დაჰკარგეს ეხლა. საარჩევნო კომპანია დაავგირგვინებს მათს დამარცხებასა და რესპუბლიკანურ იდეების ხელახლად გამარჯვებას.

**კიევი.** საგუბერნო კრებაზე გაიშვეს 13 კანდიდატი კადეტების პარტიისა.

**ვარშავა.** ბომბით დასჭრეს ვისლის პირა გზების უფროსი და მისი თანაშემწე. დამნაშავე მიიმალა.

**პეტერბურგი.** დღეს 2 საათზე პროფესორმა კარეევმა გახსნა სრულიად რუსეთის კადეტთა პარტიის მესამე კრება. თავმჯდომარეთ აირჩიეს თ. პავლე დოლგორუკოვი.

**პეტერბურგი.** პოლიციის დეპარტამენტის აგენტებმა ბერლინის საიდუმლო პოლიციის დახმარებით მიაგნეს გაპონის ნამდვილ კვალს. ფიქრობენ, გაპონმა ან თავი მოიკლა ან უბედურება რამე შეემთხვაო. ჩვენ გვაუწყებენ. ამ დღეებში გაანთავისუფლებენ ყველა იმ სტუდენტებს, გარდა მემამბოხეებისა, რომელნიც მოსკოვის ციხეებში სხედანო.—სათათბიროს წევრმა—გლეხებმა დაადგინეს, თათბირზე მოიწვიონ ხოლმე წევრნი-მუშები. 21 აპრილს დასწვეს 26 მილ. მან. ქაღალდის ფული, ვინაიდან ამ უკანასკნელ თვეში ძლიერ ბევრმა ქაღალდის ფულმა მოიყარა სახელ. ბანკში თავი.

**პეტერბურგი.** სახელ. საბჭოს არჩეულ წევრებს პატიჟობენ, თუ შესაძლებელი იქნება 24 აპრილისთვის მოიყარონ თავი პეტერბურგში და მოსვლის შემდეგ აცნობონ სახელმწიფო კანცელარიას თავიანთი ადრესები.—კადეტების დღის სხდომაზე მოისმინეს მილიუკოვის მოხსენება შესახებ პიროვნების ხელშეუხებლობისა, მოქალაქობრივ უფლებრივ თანასწორობისა, თავისუფლებათა საყოველთაო საარჩევნო უფლების განხორციელებისა და აგრარულ რეფორმებისა და ეროვნებათა სამართლიან მოთხოვნების დაკმაყოფილების შესახებ. კრებას დაესწრო 200-მდე დელეგატი, 150 წევრი სათათბიროსი—ამათში ბევრი გლეხები და ზოგიერთი წევრები სახელ. საბჭოსი.

**ვარშავა.** სოფ. ჩისტაში, ვარშავასთან, იპოვნეს ბომბების ფაბრიკა, ნახევარი ფუთი დინამიტი, გოგირდის სიმჟავე, გიკფორდების კაპსულები და ზორთები; დაიჭირეს 13 კაცი. ვისლის პირა გზების სამმართველოს ახლოს იფეთქა ბომბმა. მოჰკლეს 2. დამნაშავე მიიმალა.

სათათბიროს წევრებ-გლეხების თათბირზე გამოირკვა, რომ ისინი ერთ და იმავე დროს მოითხოვენ მიწასა და თავისუფლებას.

**ბელოსტოკი.** ფაბრიკანტ ბრიუნერის ბინაზე ბომბი შეაგდეს. დასჭრეს ბრაუნერის ცოლი. ბოროტ-გამზრახველი მიიმალა.

**პეტერბურგი.** გაზეთების ცნობით, სახელმწიფო სათათბიროს გახსნის საგანგებოთ მოწვეული პირნი, ყველა წევრებს დააფიცებენ. თავმჯდომარე უნდა აირჩიონ სათათბიროს გახსნის დღეს. იგი ამავე დღეს უნდა წაიდეს ცარსკოე სელოში და მოხსენება წარუდგინოს ხელმწიფეს სათათბიროს გახსნის შესახებ. იმავე დროს გაიხსნება სახელმწიფო საბჭოც.

გაზეთები იუწყებიან, პოჩტამტი მოვიდა სამი ტომარი ერევნიდან გამოგზავნილი სახელ. ბანკის სახელზე. გახსნეს ტომრები და აღმოჩნდა შიგ ოქროს ფულის მაგიერ ქვიშა და სილა. ფიქრობენ, 90,030 მან. მოიპარესო.

პარიზსა და პროვინციაში ძლიერდება გაფიცვა.

**ვარშავა.** სამხედრო სასამართლომ 15—12 წლის კატორგა გადაუწყვიტა 3 გლეხს, რომელნიც იარაღით ხელში დაიჭირეს სოფ. ოხოტაში საგმინო სამმართველოს.

**ვარშავა.** ბომბით დასჭრეს ვისლის პირა გზების უფროსი და მისი თანაშემწე. დამნაშავე მიიმალა.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს და სახელმწიფო საბჭოს წევრებს იწვევენ მიიღონ დუმაში შესასვლელათ და საზამთრო სასახლეში უმაღლეს გამოსვლაზე დასასწრებლათ. იზვოლსკის და შვანებახის მინისტრებათ დანიშვნის შესახებ ხმები მართლდება. გაზეთების სიტყვით კოკოვცევმა უარი სთქვა მინისტრობაზე.

**მოსკოვი.** სამოსამართლო პალატამ სატირიულ ჟურნალ „ჟალოს“ რედაქტორ ვლასოვს დატუსაღება გადაუწყვიტა და სტუდენტ გოლიცინს, დეკემბრის აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისთვის 9 თვე ციხე. ტირდატოვი და სტუდენტი ატრიანცი გაამართლა.

**კიევი.** სახელმწიფო სათათბიროს წევრებათ აირჩიეს ევგენი შოლცი, მომრიგებელი მოსამართლე ანდრია ვიაზლოვი, პროფესორი ვლადიმერ ტიმოფეევი, გლეხი ლუკა ლიტვინოვი, მემამულე გენრიხ ზტანოვსკი და ექიმი შეილახ ჩერვონენკინი პირველი ოთხი კადეტებია, მეხუთე—პროგრესისტები და უკანასკნელი—კადეტების მემარჯვენე.

**ვარშავა.** დაატუსაღეს სატუსაღოს უფროსის თანაშემწე, რომელზედაც ეჭვი აქვთ, რომ 10 პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებაში მონაწილეობა მიიღო.

**ბელოსტოკი.** ყველა ფაბრიკანტები ქალაქიდან გაიქცა. ქალაქში შიშიანობაა.

**სამარა.** (ოფიციალურათ). გაზეთ „ვეჩ. გოლოს“-ში მოთავსებული და „სამარსკი კურიერ“-ში გადაბეჭდილი ცნობა იმის შესახებ ვითომ მე მეთქვას, უკეთუ დუმას გაფანტვენ, მე პასუხის მგებელი აღარ ვიქნები სამარის გუბერნიაში წესიერების დაცვის, ყოველივე სიმართლეს მოკლებულია. სამარის გუბერნატორი ზლოკი.

**ჩიტა.** მესამე ბატარეის კამანდირმა, პოდპოლკოვნიკ დრუჟინინმა რევოლვერით თავი მოიკლა. ჟანდარმის როტმისტრი ბარანოვი სამსახურიდან გადააყენეს.

**ცარსკოე სელო.** გამოვიდა პირველი ნომერი გაზეთ „ცარსკო-სელსკაია რეჩ“-ის მიმართულებ ხალხის თავისუფლების პარტიისა.

**პეტერბურგი.** ჩვენ გავიგეთ, რომ მაქსიმ გორკის წინააღმდეგ ახალი საქმე აღუძრავთ. ბრალს სდებენ საზღვარ გარეთ აგიტაციის გაწევაში და გაზეთ „რეჩ“-ში წერილის დაწერაში შემდეგი სათაურით—„იჩქარეთ“. ცენზურის კომიტეტის განკარგულებით დაიჭირეს როზანოვის ბროშიურა. როზანოვს 129 სტ. ძალით სამართალში აძლევენ.

**დონის-როსტოვი.** ნახიჩევანში იპოვნეს ყუმბარა, რომელიც ქვის მტეხელ მუშებს დაემალათ.

**ბრიანსკი.** დილით ტუსაღების სეირნობის დროს სატუსაღოს ეზოში შეცვივდენ რამდენიმე შეიარაღებული კაცი, ასტეხეს სროლა, დასჭრეს ციხის უფროსი, გაათავისუფლეს ორი ტუსაღი და უკვალოთ გაქრნენ.

**სტავროპოლი.** დუმის გახსნის დღის სახსოვრათ ქალაქის თვითმართველობამ დაადგინა დაიკეტოს ამ დღეს ყველა სავაჭრო, დაითხოვოს სამოქალაქო სკოლის შაგირდები და ერთ ქუჩას 27 აპრილის სახსოვრათ სახელი უწოდოს.

**პეტერბურგი.** უმაღლესი რესკრიპტი გრაფ ვიტეს სახელზე: გრაფო სერგეი იულიის ძევ!—ძანელმა შრომამ იმდენათ დაასუსტა თქვენი ჯანმრთელობა, რომ თქვენ იძულებული გახდით გეშუამდგომლათ ჩემ წინაშე მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებაზე. მოგიწვიეთ რა ამ მძიმე თანამდებობაზე, ჩემი უმაღლესი სურვილების განსახორციელებლათ, რომ ჩემ ქვეშევრდომთათვის კანონმდებლობაში მონაწილეობის უფლება მიმენიჭებია, სრული დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენი სახელმწიფოებრივი დაუფასებელი ნიჭი შემისუბუქებდა ახალი კანონების ცხოვრებაში გატარებას. მიუხედავათ იმისა, რომ „კრამოლნიკები“ ყოველივე ღონეს ხმარობდენ ჩაეშალათ ეს კეთილი საქმე, რომელთა წინააღმდეგ თქვენ დიდი ენერგია გამოიჩინეთ, დღეს ჩემი სურვილები თითქმის ახლოა განხორციელებასთან. ამასთანავე თქვენ იქვენი სამაგალითო ნიჭის წყალობით ფინანსების საქმეში ხელი შეუწყეთ რუსეთს ახალი სესხის შოვნაში. თანახმა ვარ რა თქვენ თხოვნაზე, მე გულითადი წყურვილი მაქვს უმაღლესი გულწრფელი მადლობა გამოგიცხადოთ და მიბოძებია თქვენთვის წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენის კავალერობა. დავშთები თქვენი კეთილის მსურველი, საკუთარის ხელით აწერია „ნიკოლოოზ“.—უმაღლესი რესკრიპტი დურნოვოს სახელზე. „პეტრე ნიკოლოოზის ძევ! ვაფასებ რა თქვენ ნიჭს და საქმიანობას მოიწოდეთ თქვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს გასაძღოლათ, იმ დროს, როდესაც საზოგადო წესიერების მტრები ცდილობდენ დაერღვიათ მშვიდობიანი ცხოვრება და ხელი შეეშალათ ჩემი სურვილების განხორციელებისთვის. თქვენმა ენერგიულმა ზომებმა ფრიად სასურველი ნაყოფი გამოიღო და ხელი შეუწყო სახელმწიფო დუმის და საბჭოს პირველ არჩევნებს. იმ დროს, როდესაც ჩვენი უმთავრესი მიზანი უნდა განხორციელებულიყო, თქვენ შუამდგომლობთ სამსახურიდან დაგითხოვოთ. პატივს ვცემ რა თქვენ თხოვნას გიცხადებთ უღრმეს მადლობას თქვენი დაუღალავი შრომისთვის და გნიშნავთ ჩემ სტატ-სეკრეტრათ, დავშთები თქვენი კეთილის მყოფელი, საკუთარის ხელით აწერია „ნიკოლოოზ“. ორივე რესკრიპტი ბოძებულია 22 აპრილს ცარსკოე სელოში.—მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ დაინიშნა გორემიკინი.

**პეტერბურგი.** უმაღლესი უკაზი ებრძანეთ სახელმწიფო საბჭო..?.. 27 აპრილს.

**პეტერბურგი.** კადეტების სიეზდზე მილიუკოვის მოხსენებამ დიდი კამათი გამოიწვია, რის შემდეგ სტრუვემ წარმოადგინა რეზოლიუცია, რომ სიეზდი საჭიროთ ცნობს მოსთხოვოს დუმას დაუყონებლივ დააკმაყოფილოს მუშათა კლასის მიუცილებელი მოთხოვნილებანი. მუშათა მდგომარეობის გამოსარკვევათ საჭიროა ეხლავე დაინიშნოს პარლამენტის კომისია. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა როდიჩევის სიტყვამ, რომელმაც დაათავა შემდეგი სიტყვებით: „დუმას ვერ გაფანტავენ, დუმა თავისას იზამს“..

**კიევი.** სიკვდილით დასჯა საპიორების საქმეზე, უნტერ ოფიცერ რიაბოვს, უვადო ფელთფებელს კორობკინს ოცი წლით და კვაშინს თხუთმეტი წლის კატორგათ შეუცვალეს.

**ვარშავა.** სოფ. ჩისტში ყუმბარების საკეთებელი ფაბრიკა აღმოაჩინეს.. ექვსი ყუმბარა იპოვნეს. დაიჭირეს 13 კაცი.

**პარიჟი.** პოლიციის პრეფექტმა განკარგულება მოახდინა დაატუსაღონ ყველა, ვინც მუშაობას ხელს უშლიან.

**ბერლინი.** გამბურგ-ამერიკის საზოგადოებამ 1 მაისს გაფიცვების წინააღმდეგ საჩივარი აღსძრა, ხელშეკრულობის დარღვევისთვის.

**ლიონი.** საქმე გამწვავდა. გაფიცულთა რიცხვი 2000-მდინ ავიდა. გაფიცულებმა გაფიცვის მოწინააღმდეგე მუშების ხელის შეშლა მოინდომეს. მოხდა შეტაკება... ბევრი დაიჭირეს.

**პარიჟი.** ვენსონის ტყეში აფეთქების საქმის გამოძიებამ აღმოაჩინა ბევრი ანარქისტული ორგანიზაციის არსებობა. სასამართლოს გამომძიებელმა გაჩხრიკა ბევრი სახლები სადაც სტრიგა ცხოვრობდა. დაატუსაღეს სტუდენტი ბერნშტეინი, 28 წლის, როვნოს მცხოვრები და ბერტა ფელდტი 18 წლის ვილნოს მცხოვრები.

**ბელგრადი.** გუშინ სარაევში თამბაქოს ქარხნის გაფიცულ ქალების გაფანტვის დროს ორი ათასამდე კაცთაგან შემდგარი ბრბო გამოესარჩლა. ჟანდარმებმა სროლა ასტეხეს. მოკლულია სამი. სამრთო გაფიცვა დაიწყო. მცხოვრებლები აღელვებულნი არიან.

**პეტერბურგი.** კადეტების კრებაზე საბოლოოთ გადაწყდა კითხვა მათი დუმაში ტაქტიკის შესახებ. კამათში მონაწილეობას იღებდა 20 მდე ორატორი, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: 1) დაუყონებლივ მოითხოვონ დაკანონება პიროვნების ხელშეუხებლობის, თავისუფლება სარწმუნოების და ყველა მოქალაქობრივ თავისუფლების, საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნებითი უფლებების შემოღება. ფარული კენჭის ყრით, მიწების საკითხის გადაწყვეტა, დაუყონებლივ ზომების მიღება მუშათა კითხვის შესახებ და ყველა კანონიერ ნაციონალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.—პარტია ყოველივე ღონეს იხმარს, ყველა ეს მოთხოვნილებები განახორციელოს, თუ გინდ ამას მთავრობასთან შეტაკებაც მოყვეს, მხოლოდ პარტია ეცდება, თუ შეტაკება მოხდა, მთავრობას აგებინოს პასუხი და სხ.

**ურალსკი.** ბორონინის არჩევის და მისი სიტყვის შემდეგ კაზაკებმა დაავალეს მას მედგრათ დაიცვას მეფის ინტერესები და მხარი დაუჭიროს მას.

23 აპრილი.

**პეტერბურგი.** ნაშუადღევს პირველ საათზე გენერალ-გუბერნატორ დუბასოვს, რომელიც სობოროდან მოდიოდა, ყუმბარა ესროლეს. დუბასოვი კალიასკით მოდიოდა თავის ადიუტანტით ერთად. ყუმბარა დუბასოვის სახლის შესავალთან გადააგდო ვიღაც უცნობმა, რომელსაც ოფიცრის ტანისამოსი ეცვა. ყუმბარა საშინელი სიძლიერით გასკდა. 500 ნაბიჯის მანძილზე სახლების ფანჯრები დაიმტვრა. დუბასოვი ფეხში დაიჭრა. ადიუტანტი მოკვდა. მკვდარია აგრეთვე ორი სალდათი და ხალხიდანაც რამდენიმე დაჭრილია. დაჭრილი ცხენები ვერხნეკისეიდი ქუჩის შესახვევში დაიჭირეს. კალიასკა, რომელშიც დუბასოვი იჯდა დაიმტვრა. წინა გორგები მოგლეჯილია, საჯდომი დამწვარი. ყუმბარის მსროლელი, როგორც ამბობენ, მკვდარია.

**ეკატერინოსლავი.** რამდენიმე ახალგაზდა თავს დაესხა ფულის ამკრეფს და წაართვა 9,000 მანათი.

**ოდესა.** სევასტოპოლის ციხის კამენდატის განყოფილების გამგე კაპიტანი ოდლანგერი სამხედრო სამართალში მისცეს. ბრალს სდებენ იმაში, რომ გაექცა სტუდენტი ფელდმანი, რომელიც მთავარი მომქმედი იყო „პატიომკინზე“ მომხდარ არეულობის დროს.

**ტულა.** გაათავისუფლეს ხუთი პოლიტიკური ტუსაღი.

**მოსკოვი.** შეიარაღებულ აჯანყების საქმე საზოგადო სასამართლოს გადაეცემა. მიასნიცკი ქუჩაზე საავათმყოფოდან ორი პოლიტიკური ტუსაღი გაიქცა. ციურიხში დაჭერილ ბელენცოვის შესახებ დარწმუნდენ, რომ ის მონაწილეობას ღებულობდა მოსკოვის ბანკის გაძარცვაში.

**ვარშავა.** ქალაქის მუშების გაფიცვა გრძელდება. უფულობის გამო მაგისტრატი უარს ამბობს მუშების დაკმაყოფილებაზე და ემუქრება სამუშაოდან დათხოვას.

**სარაევო.** მუშების კომიტეტსა და მთავრობის შორის მოლაპარაკება გაიმართა. იმედი აქვთ საქმე კარგათ გათავდება.

**მოსკოვი.** ის კაცი, რომელმაც დუბასოვს ყუმბარა ესროლა, ლეიტენანტის ფორმაში იყო, ფეხით მიდიოდა, აფეთქების წინ გაზეთი ეჭირა. ჯიბეში 200 მანათი უპოვეს. ყუმბარამ თავის ქალა ააგლიჯა.

**ბორისოგლებსკი.** დაიწვა 146 გლეხის სახლ-კარი.

**მოსკოვი.** გენერალ-გუბერნატორი ადიუტანტთან ერთათ 12 საათზე მოდიოდა კრემლიდან წირვის შემდეგ ის ჩერნიშევის ქუჩის შესახვევში უნდა მისულიყო, მარა სხვა გზით წავიდა ტვერის ქუჩით. ის მივიდა თავის სახლის შესავალთან. ამ დროს მიმავალმა კაცმა საზღვაო ფორმაში, უცბათ ყუმბარა გადაისროლა, რომელიც კალიასკის ახლო გასკდა ქვაფენილზე. მსროლელი მაშინვე მოკვდა. მარჯვნით მჯდომი ადიუტანტი სასიკვდილოთ დაიჭრა. დუბასოვი კალიასკიდან გადმოვარდა, ფეხი იღრძო, მარა თვითონ შევიდა სასახლეში. მეეტლე დაიჭრა და საავათმყოფოში გაგზავნეს. ფიქრობენ მკვლელი სტუდენტი უნდა იყოს, რომლის ბინაზე ამ დღეებში აფეთქება მოხდა. ის რამდენიმე დღის წინათ რესტორან „დრეზდენში“ ნახეს გენერალ-გუბერნატორის სახლის ახლო და უცხოეთის გაზეთებს კითხულობდა. დუბასოვი ინახულა მიტროპოლიტმა, გრადონაჩალნიკმა და ბევრმა სხვებმა.

**კიევი.** პროზოროვსკის ქუჩაზე აღმოაჩინეს კონსპირატიული რევოლიუციონური ბინა საიდუმლო სტამბით და აურებელი არალეგალური ლიტერატურით. აღმოაჩინეს ორი ყუმბარა. დაიჭირეს ორი კაცი და ერთი ქალი.

**სმოლენსკი.** გუბერნატორმა 210 პოლიტიკური ტუსაღი გაანთავისუფლა.

**პეტერბურგი.** „ნოვოე ვრემია“-ს სიტყვით იუსტიციის მინისტრათ შჩეგლოვიტოვი დაინიშნა. ობერპროკურორის ადგილი თავისუფალია.

დროებით შინაგან საქმეთა სამინისტროს გურკო განაგებს.

„რეჩი“ ამბობს, რომ მინისტრ დურნოვომ სამსახურიდან გადადგომის დროს 200 ათასი მანეთი მიიღო.

პოლიციის დეპარტამენტი დიდ ფაცაფუცშია და პოლიტიკურ საქმეებს არჩევენ, მთელი ღამეები მუშაობენ. საქმე 25 აპრილამდე უნდა დაასრულონ.

სახელმწიფო სათათბიროს წევრი გლეხი ბაბიჩი პეტერბურგში მისვლისას რკინის გზის სადგურზე სასტიკათ გაჩხრიკეს.

**ბელოსტოკი.** ბელში, შაქრის საწყობში შევიდენ 15 შეიარაღებული კაცი, კასირს თოფი დაუმიზნეს და ფული მოსთხოვეს, მარა ნოქარმა, რომელიც ამ დროს მეორე ოთახში იყო, ფანჯრიდან ყვირილი დაიწყო. ბოროტ-გამზრახველნი გაიქცენ.

**მოსკოვი.** მოკლულია „ოხრანის“ უფროსი გრაფი კონოვიტინი და არა ადიუტანტი. დაჭრილია მეეტლე და გოროდოვოი. მსროლელი მუშა უნდა იყოს, როგორც ამას ამტკიცებს მისი დაკოჟილი ხელები. ყუმბარა ფორთოხლის ოდენა იყო და რომ დაეფარა ბოროტ-გამზრახველს ის თაიგული ეჭირა ხელში.

**მოსკოვი.** უბნის ზედამხედველ პავლოვის ნაამბობი: გენერალ-გუბერნატორი კონოვნიცინთან ერთათ კრებიდან მოდიოდა. ქუჩაში ხალხი ცოტა იყო. როცა კალიასკა გენერალ-გუბერნატორის სახლს გაუსწორდა მას მიუახლოვდა საზღვაო აფიცერი. მას სალამი მისცა, დაიკუზა და უცბათ რაღაც შეაგდო კალიასკის ქვეშ. რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა კვამლი გაიფანტა, პავლოვმა დაინახა კონოვნიცინი, რომელიც ქვაფენილზე ეგდო და თავი საშინლათ დასახიჩრებული ქონდა. იქვე ეგდო თავ-გაჩქვილი ბოროტ-გამზრახველი. მეეტლე ცდილობდა წამოდგომას; გაგიჟებული ცხენები ტვერის ქუჩისკენ მირბოდენ. დუბასოვი კალიასკიდან რამდენიმე არშინზე გადავარდა. ის წამოდგა, პირჯვარი გადიწერა და სახლში შევიდა. პირველი დახმარება პოლიციის ექიმმა აღმოუჩინა. გენერალ-გუბერნატორის სასახლის ეკლესიაში პანაშვიდი გადაიხადეს კონოვნიცინის სულის მოსახსენებლათ. მკვლელს 200 მანეთი აღმოაჩნდა ჯიბეში და ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების ბილეთი. ფიქრობენ, რომ ის აფიცერი არაა,

**რიგა.** რიგის ახლო ბოლდერაში 40 შეიარაღებული რევოლიუციონერი თავს დაესხა ტელეგრაფის როტას, შეკრეს დარაჯი, მოიტაცეს 31 ვინტოვკა და უკვალოთ დაიკარგნენ.

### „ლამპარი“-ს ფოსტა.

ვერ დაიბეჭდება შემდეგი წერილები:

1) „ნობათის“ გმირებს.
2) ღია წერილი ფ. გოგიჩაიშვილს.
3) ამბერკის ლექსები.
4) ტანჯულებისადმი.
5) „ძნელი საქმე“ „ნობათის“ წინააღმდეგ.
6) ლექსი „ტანჯულთა ამონაკვნესი“.
7) „ელვაში“ დაბეჭდილ წერილების საპასუხო წერილები.
8) „პატარა ფელეტონები“.
9) „ბოიკოტის ისტორია ბაქოში“.
10) ლექსი „სამშობლო“.
11) „რევოლიუცია იმარჯვებს“.
12) ლექსი „ქარი და ჟუჟუნა წვიმა“.
13) „ჰოი ბოროტნო“ ლექსი.
14) ყვირილა. პლატონ ლეჟავას. განცხადებს უფასოთ გაზეთები არ ბეჭდავს.

რედაქტორ-გამომცემელი **ქ. თავართქილაძე.**


## განცხადება

თფილისის ქალაქის

**თვითმართველობა**

აცხადებს, რომ ქალაქის თვითმართველობაში 27 აპრილს დღის პირველ საათზე დანიშნულია ტორგი მაზუტის შესახებ. მაზუტი საჭიროა არის 15286 ფუთი და 10 ქვაბი ქალაქის წყლის საყვანისთვის, პირობების გაგება თვითმართველობაში შეიძლება ყოველ დღე დილის ათი საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის წყლის საყვანის განყოფილებაში, კვირა-უქმეს გარდა.

(2—1)

**მიიღება ხელის მოწერა**

სომხურ პოლიტიკურ, საზოგადო და საეკონომიო ახალ გაზეთზე

**„პ ა ი ტ“** (ნაპერწკალი),

რომელიც ჯერ-ჯერობით **გამოვა კვირაში ორჯელ**

სოლოლაკის ქუჩა, № 3


თფილისი. ელისაბედის ქუჩა, სტამბა-ამხანაგობა „ლამპარი“, № 17.